პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 89 (11093) | ოთხშაბათი, 16 აპრილი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

**გუშინ მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საკავშირო ალკკ XIII ყრილობა.**

**გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს!**

**გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!**

## საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალე სალამს უთვლის საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის XIII ყრილობის დელეგატებს, კომკავშირელებს, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის მთელ მრავალმილიონიან არმიას.

ლენინური კომკავშირი კომუნისტური პარტიის პირმშოა, საბჭოთა ხალხის იმედი და სიამაყეა. მის რიგებში აღიზარდა მილიონობით ახალგაზრდა პატრიოტი, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი, რომლებმაც შრომასა და ბრძოლაში დაამტკიცეს თავიანთი სიყვარული და უსაზღვრო ერთგულება კომუნისტური პარტიის საქმისადმი. ახალგაზრდობის ერთი თაობიდან მეორეს გადაეცემა კომკავშირის სახელოვანი ტრადიციები — მხურვალედ გამოეხმაურონ სამშობლოს მოწოდებას, იყვნენ იქ, სადაც სიძნელეა, ყოველ საქმეში გამოიჩინონ ინიციატივა და თაოსნობა, ყველაფერში გაჰყვნენ პარტიას, იყვნენ მისი ერთგული და საიმედო თანაშემწე. ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა თვალსაჩინო როლი შეასრულა სოციალიზმის მშენებლობასა და გარეშე მტერთაგან ჩვენი სამშობლოს დაცვაში, რითაც საბჭოთა ხალხის სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა.

შესანიშნავი წარმატებებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ხალხის კულტურისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში აღინიშნა კომკავშირის მოღვაწეობა უკანასკნელ წლებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა, ყრილობისა, რომელმაც დასახა კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა, აღაფრთოვანეს ახალგაზრდობა, მის წინაშე დასახეს ახალი ფართო ასპარეზი, რათა გამოიჩინოს გაბედული შემართება, საბრძოლო სულისკვეთება, წყაროსავით მოჩუხჩუხე შემოქმედებითი ენერგია. პარტიისა და მთავრობის მოწოდებით, თავისი გულის კარნახით საბჭოთა ახალგაზრდობა დაირაზმა ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად და ჩაიდინა დიდი შრომითი გმირობა, რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენი ხალხი. ათასობით ახალგაზრდა პატრიოტი წავიდა მეცხოველეობის ფერმებში, რათა თავისი პრაქტიკული მონაწილეობით დაეხმაროს პარტიასა და ხალხს ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაში.

ჩვენი ახალგაზრდობის შრომისმოყვარე ხელით არის აშენებული და შენდება ახალი შახტები და მაღაროები, ბრძმედები და მარტენის ღუმელები, მსოფლიოში უდიდესი ელექტროსადგურები, შენდება ფაბრიკები და ქარხნები. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე ქალიშვილები და ჭაბუკები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მთელ თავიანთ ძალასა და ცოდნას ახმარენ კომუნიზმისათვის ბრძოლას.

ლენინური კომკავშირის და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის თვალსაჩინო გმირობა სამშობლოს სასახელოდ დამსახურებულად აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

ახლა საბჭოთა ქვეყანა თავისი ისტორიული განვითარების ახალ ეტაპზეა. კომუნისტური საზოგადოების აშენება ახლა პარტიისა და ხალხის უშუალო პრაქტიკული ამოცანაა. ამ პირობებში კიდევ უფრო მაღლდება კომკავშირის როლი სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ლენინური კომკავშირი კვლავაც მთელი თავისი მრავალმხრივი საქმიანობით დაუცხრომლად ჩაუნერგავს თვითეულ ქალიშვილსა და ჭაბუკს კომუნისტური ეპოქის ადამიანის კეთილშობილურ თვისებებს: კომუნიზმის გამარჯვების უსაზღვრო რწმენას, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულს, შრომისმოყვარეობას, თავდადებას საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში, იმის უნარს, რომ დაძლიოს ყოველი სიძნელე დიადი მიზნის გზაზე, იმას, რომ მზად იყოს დაიცვას თავისი სამშობლოს ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

საჭიროა კიდევ უფრო მტკიცედ დავრაზმოთ ახალგაზრდობის ძალები პარტიის მიერ დასახული იმ ამოცანის შესრულებისათვის საბრძოლველად, რომ უახლოეს 15 წელიწადში გავუსწროთ უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების მხრივ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება იმ კომკავშირული ორგანიზაციების პატრიოტულ თაოსნობას, რომლებმაც იკისრეს მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების, ბრძმედებისა და მარტენის ღუმელების, საგლინავი ჩარხებისა და ელექტროსადგურების, ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობის შეფობა.

კომკავშირმა კიდევ უფრო ფართოდ უნდა ჩააბას ახალგაზრდობა სოციალისტურ შეჯიბრებაში სახელმწიფო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, გამოიჩინოს მეტი ინიციატივა წარმოების რეზერვების ძიებაში, ყაირათიანობისა და ეკონომიისათვის ბრძოლაში, ყოველი ღონისძიებით გაუწიოს დახმარება ახალგაზრდობას თავისი საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლებაში, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დაუფლებაში.

კომკავშირი კვლავაც უნდა იყოს პარტიის აქტიური თანაშემწე სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მტს-ების რეორგანიზაციის დარგში ხალხის მიერ მოწონებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში, იმ ამოცანის გადაჭრისათვის ბრძოლაში, რომ უახლოეს წლებში შევქმნათ სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის და ნედლეულისა მსუბუქი მრეწველობისათვის, დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. ამისათვის საჭიროა, რომ სოფლის ახალგაზრდობამ თავის ძალებს თავი მოუყაროს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე, გვიჩვენოს შრომისადმი თავდადებული დამოკიდებულების მაგალითი, მტკიცედ დაეუფლოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, აგრონომიულ და ზოოტექნიკურ ცოდნას, იბრძოლოს საზოგადოებრივი მეცხოველეობის სულადობის გადიდებისათვის, მისი პროდუქტიულობის ზრდისა და ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი, მყარი მოსავლის მიღებისათვის.

ჩვენს საუკუნეში, როცა კომუნიზმის იდეები, დაეუფლა რა მილიონობით ადამიანის გონებასა და გულს, გახდა მძლავრი შემოქმედებითი ძალა, რომელიც გარდაქმნის თანამედროვე საზოგადოებას, ახალგაზრდობისათვის განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანია ღრმად შეისწავლოს მარქსისტულ-ლენინური თეორია, შემოქმედებითად გამოიყენოს მიღებული ცოდნა პრაქტიკულ საქმიანობაში. კომკავშირი მოწოდებულია მუდმივად იზრუნოს ახალგაზრდობის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის, აღზარდოს იგი გმირი მუშათა კლასის სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებზე, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ყოველი გამოვლინებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით. საჭიროა ღრმად განვუმარტოთ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის აზრი, დავეხმაროთ მათ სწორი ორიენტაცია ჰქონდეთ საზოგადოებრივი ცხოვრების რთულ მოვლენებში. საბჭოთა მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის უმაგალითო აყვავება ახალგაზრდობას უსახავს იმის საჭიროებას, რომ მუდამ ისწავლოს, იყოს თანამედროვე ცოდნის დონეზე, დაეუფლოს სოციალისტური კულტურის მიღწევებს, უნარიანად და მტკიცედ შეახამოს წარმოებაში მუშაობა სწავლასთან.

ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენების დიდებული ამოცანები, კომკავშირის სულ უფრო მზარდი როლი ამ ამოცანების განხორციელებაში მოითხოვენ დაუცხრომლად გაუმჯობესდეს ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში. საჭიროა ფართოდ განვავითაროთ კომკავშირის ინიციატივა და თვითმოქმედება, განვახორციელოთ მიზანსწრაფული მუშაობა ახალგაზრდობის მასებში, გადაჭრით აღმოვფხვრათ ფორმალიზმი, პარადულობა და ხმაური. კომკავშირმა კარგად უნდა იცოდეს ახალგაზრდობის სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილებანი და საჭიროებანი, უნდა შეეძლოს ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შეურჩიოს შესაფერისი საქმე, უნდა იბრძოდეს იმისათვის, რომ ყოველი პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია იყოს მებრძოლი ცხოველმოქმედი კოლექტივი, მჭიდროდ დაკავშირებული მთელ ახალგაზრდობასთან. კომკავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის საქმიანობის გაუმჯობესებას.

კომკავშირი მოწოდებულია აღზარდოს საბჭოთა ახალგაზრდობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისა და ხალხთა მეგობრობისადმი ერთგულების სულისკვეთებით, გააფართოოს და განამტკიცოს საბჭოთა ახალგაზრდობის ურთიერთობა სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობასთან, მსოფლიოს მთელ პროგრესულ ახალგაზრდობასთან, დაუცხრომლად იბრძოლოს ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, მთელ მსოფლიოში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ლენინური კომკავშირი, კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმება რა კომუნისტური პარტიის გარშემო, ახალ გმირულ ფურცელს ჩასწერს ნათელი მომავლისათვის, კომუნიზმისათვის საბჭოთა ხალხის ბრძოლის ისტორიაში.

გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნისტური პარტიის ერთგულ თანაშემწესა და მებრძოლ რეზერვს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას!

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სოციალისტურ სამშობლოს!

*საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი*

### სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

## მოსახლეობისათვის მისაყიდად ავეჯის წარმოების გადიდების შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის დადგენილებით „სსრ კავშირში საბინაო მშენებლობის განვითარების შესახებ" დასახულია ამოცანა — უმოკლეს ვადებში მიღწეულ იქნას საბინაო ფონდის მნიშვნელოვანი მატება და უახლოეს 10-12 წელიწადში ბოლო მოეღოს ჩვენს ქვეყანაში ბინების ნაკლებობას.

გაითვალისწინა, რა რომ ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენებლობის დასახული დიდი პროგრამის განხორციელება გამოიწვევს ავეჯზე მოსახლეობის მოთხოვნილების მნიშვნელოვან ზრდას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო სპეციალური დადგენილება „მოსახლეობისათვის მისაყიდად 1958-1960 წლებში ავეჯის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების შესახებ".

ამ დადგენილების თანახმად 1958 წელს დამატებით უნდა დამზადდეს ავეჯი მოსახლეობისათვის მისაყიდად 500 მილიონი მანეთი თანხისა, ხოლო სულ ამ დამატებითი დავალების გათვალისწინებით წელს ავეჯი გამოშვებული იქნება 7 მილიარდ 775 მილიონი მანეთი თანხისა, ანუ მილიარდნახევარი მანეთით მეტი, ვიდრე 1957 წელს.

1959 წელს ავეჯის წარმოების მოცულობა განზრახულია სულ ცოტა 8 მილიარდ 900 მილიონი მანეთი თანხისა და 1960 წლისათვის — სულ ცოტა 10 მილიარდ 400 მილიონი მანეთისა. ამასთან ავეჯის წარმოების მოცულობა 1960 წელს 1957 წელთან შედარებით გაიზრდება რუსეთის სფს რესპუბლიკაში 73 პროცენტით, უკრაინის სს რესპუბლიკაში — 56 პროცენტით, უზბეკეთის სს რესპუბლიკაში — 80 პროცენტით, ყაზახეთის სს რესპუბლიკაში — 108 პროცენტით, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში — 136 პროცენტით. ავეჯის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა დასახულია აგრეთვე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

დამტკიცებულია დიდი პროგრამა 1958-1960 წლებში ავეჯის ახალ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისა, რის შედეგადაც ამ პერიოდში მნიშვნელოვნად გაიზრდება ავეჯის წარმოების სიმძლავრეები ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ამასთან დაკავშირებით გადაწყდა გადიდდეს ავეჯის მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1958 წელს 290 მილიონი მანეთით და დაწესდეს ამ მიზნით კაპიტალდაბანდებათა მოცულობა 1959 წელს 920 მილიონი მანეთის და 1960 წელს 1 მილიარდ 315 მილიონი მანეთის ოდენობით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ განახორციელონ მთელი რიგი ღონისძიებანი ავეჯის წარმოების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის, კერძოდ:

მოაწყონ ერთოთახიანი და ოროთახიანი ბინებისათვის საყოფაცხოვრებო ავეჯის იაფი კომპლექტებისა და ცალკეული საგნების მასობრივი გამოშვება, აგრეთვე გრეხილი ავეჯის წარმოების ყოველი ღონისძიებით გაფართოება;

გააფართოონ რბილი ავეჯის გადასაკრავი სპეციალური ქსოვილების (გობელენი, პლუში) წარმოება, აგრეთვე ავეჯის დეკორაციული ქსოვილის კუპონებად და ავეჯის ფურნიტურის ისეთი რაოდენობით გამოშვება, რაც საჭიროა ავეჯის წარმოების დადგენილი გეგმების შესასრულებლად;

განახორციელონ ავეჯის საწარმოთა სპეციალიზაცია ერთნაირი ტიპების ავეჯისა და უნიფიცირებული კვანძებისა და დეტალების გამოსაშვებად და მოაწყონ 1958-1959 წლებში დატანებული ავეჯისათვის ტიპური ბლოკების მასობრივი წარმოება;

იმ სახლსაშენ საწარმოებში, რომელთა მშენებლობა ან რეკონსტრუქცია წარმოებს, ააშენონ საამქროები, რომელთაგან თვითეული წელიწადში გამოუშვებს 5-10 მილიონი მანეთის დატანებულ და სხვა ავეჯს;

შექმნან ავეჯის მრეწველობის საწარმოებში დახერხილი ხე-ტყის მასალის სულ ცოტა ოთხი თვის მუდმივი მარაგი, აგრეთვე გამოუყონ ავეჯის საწარმოებს პირველ რიგში ფანერა, წებო, ფურნიტურა, მოსაპირკეთებელი და სხვა მასალები, რაც საჭიროა ავეჯის წარმოებისათვის.

დადგენილებაში აგრეთვე გათვალისწინებულია საჭირო მოწყობილობით ავეჯის მრეწველობის აღჭურვის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დაევალა გაითვალისწინოს საცხოვრებელი სახლების ტიპურ პროექტებში ბინების მოწყობა დატანებული ავეჯით. ამავე კომიტეტს წინადადება მიეცა აგრეთვე მოაწყოს 1958 წელს სრულიად საკავშირო კონკურსი ერთი ოჯახისათვის გათვალისწინებული ახალი ბინების ავეჯის საუკეთესო ნიმუშების შესაქმნელად და მოაწყოს 1958 წელს ქალაქ მოსკოვში ავეჯის მუდმივი გამოფენა.

### საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს

ძვირფასო ამხანაგო თავმჯდომარევ,

მივიღე თქვენი 1958 წლის 4 აპრილის წერილი. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ ჩინეთის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებას პირველმა შეწყვიტოს 1958 წლის 31 მარტიდან ყოველგვარი სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდა და საბჭოთა მთავრობის წინადადებებს ამ საკითხში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მთავრობებისადმი.

სხვადასხვა სახეობის ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და სრული შეწყვეტა ამჟამად უკვე გახდა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ასეულ მილიონობით ადამიანის დაბეჯითებითი მოთხოვნა. საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება პირველმა შეწყვიტოს ატომგულის იარაღის გამოცდა სავსებით შეესაბამება მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა ამ სასიცოცხლო მისწრაფებას. საბჭოთა მთავრობის ამ აქციამ დამაჯერებლად ცხადყო, რომ საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად დგას მშვიდობის დაცვის პოზიციებზე. მან სავსებით ცხადყო საბჭოთა ხალხის დიდი ზრუნვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხთა სიმშვიდისა და ბედნიერებისათვის, აგრეთვე დიდად განამტკიცა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსა და ხალხის რწმენა მშვიდობისათვის ბრძოლაში. ეჭვი არ არის, რომ ეს უდიდესი წვლილია მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვისა და კაცობრიობის ბედნიერების უზრუნველყოფის საქმეში. ჩინელი ხალხი მხურვალედ მიესალმება საბჭოთა კავშირის ამ დიად სამშვიდობო აქციას.

საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებამ რეალური დასაბამი მისცა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტას, იგი გახდა პირველი ნაბიჯი გამანადგურებელი ატომური ომის საფრთხისაგან კაცობრიობის ხსნის გზაზე.

ამჟამად მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა და ხალხი დაბეჯითებით მოითხოვენ და მოელიან, რომ ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი განახორციელებენ ისეთსავე ღონისძიებებს, როგორიც საბჭოთა კავშირმა განახორციელა. ჩინეთის მთავრობას მიაჩნია, რომ მშვიდობას მოწყურებულ მთელი დედამიწის ხალხთა წინაშე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთს, რომლებსაც აქვთ ატომური და წყალბადის იარაღი, ეკისრებათ მოვალეობა, რომელსაც ისინი გვერდს ვერ აუვლიან, სახელდობრ: კონკრეტული საქმეებით უპასუხონ საბჭოთა კავშირის ინიციატივას და ამით შესაძლო გახადონ ატომგულის იარაღის გამოცდის ყველგან შეწყვეტა. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერასოდეს ვერ აიცილებენ მთელი მსოფლიოს ხალხების მხრივ სამართლიან დაგმობას და სერიოზულ პასუხისმგებლობას კაცობრიობისათვის მიყენებული ზიანის გამო.

მშვიდობის ბედს ხალხები განსაზღვრავენ. ჩვენ გვწამს, რომ თუ მსოფლიოს ხალხები მჭიდროდ შეკავშირდებიან და მტკიცედ იბრძოლებენ მშვიდობის დასაცავად, მშვიდობის საქმე უეჭველად გაიმარჯვებს.

გულწრფელი პატივისცემით

**ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფოს საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი.**

1958 წლის 13 აპრილი. ქალაქი პეკინი.

## პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის გამგზავრებისათვის

როგორც პრესა უკვე იუწყებოდა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა კ. ე. ვოროშილოვმა მიიღო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მიწვევა ესტუმროს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას. პოლონეთში მოგზაურობის დროს ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის თანმხლებნი იქნებიან: ამხ. ე. ა. ფურცევა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი და პრეზიდიუმის წევრი, ამხ. კ. ტ. მაზუროვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი და ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. ს. ვ. ჩერვონენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარე, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ამხ. ა. ი. სნეჩკუსი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის წევრი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ამხ. ვ. პ. ელიუტინი, სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი, ამხ. ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე, ამხ. პ. ა. აბრასიმოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი და მისი თანმხლები პირები მოსკოვიდან პოლონეთში გაემგზავრებიან 1958 წლის 16 აპრილს.

## ზეიმით დაიხურა პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და ვიოლინისტთა საერთაშორისო კონკურსი

ერთი თვის განმავლობაში მსოფლიო მუსიკალური საზოგადოებრიობის ყურადღება მიპყრობილი იყო პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსისადმი, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობდა. ევროპის, აზიის, ამერიკის, ავსტრალიის ოცზე მეტი ქვეყნის 80-ზე მეტი ახალგაზრდა მუსიკოსი იღებდა მონაწილეობას მოსკოვის კონკურსის ლაურეატთა საპატიო წოდებისათვის შემოქმედებით შეჯიბრებაში.

14 აპრილს საღამოს მოსკოვის კონსერვატორიის დიდი დარბაზი კვლავ ხალხით გაიჭედა. დედაქალაქის საზოგადოებრიობის დაახლოებით ორი ათასი წარმომადგენელი — კომპოზიტორები, მსახიობები, მუსიკოსები — შეიკრიბა აქ პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის დახურვის საზეიმო აქტზე.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარენ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა დ. შოსტაკოვიჩმა გახსნა საზეიმო კრება.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი კომპოზიტორი დ. კაბალევსკი აქვეყნებს ლაურეატების გვარებს. შეკრებილთა ტაშის გრიალში დ. შოსტაკოვიჩი მათ გადასცემს ჯილდოებს — მედლებს, საპატიო ნიშნებსა და დიპლომებს. გამარჯვებულთა ოქროს მედლებს იღებენ მევიოლინე ვალერი კლიმოვი (სსრ კავშირი) და პიანისტი ვან კლიბერნი (ამერიკის შეერთებული შტატები).

შეკრებილთა ტაშის გრიალში სიმებიანი ინსტრუმენტების ოსტატმა ქალაქ ტულიდან მ. ნესტერენკომ ლაურეატ ვალერი კლიმოვს მიართვა საკუთარი ხელით დამზადებული ვიოლინო.

მღელვარედ გაისმა საბჭოთა მევიოლინეს ვალერი კლიმოვის გამოსვლა, რომელმაც ილაპარაკა გრძნობებზე, რომელთაც იგი ამ საზეიმო საღამოს განიცდის.

ამერიკელმა პიანისტმა ვან კლიბერნმა, რომელიც რუსულად ლაპარაკობდა, მხურვალე მადლობა გადაიხადა მისთვის აღმოჩენილი პატივის — ლაურეატის მაღალი წოდების მინიჭების გამო.

შეკრებილთ სიტყვით მიმართა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა. მან კონკურსში გამარჯვებულთ მიულოცა შესანიშნავი წარმატება. მადლობა გადაუხადა კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებსა და ჟიურის წევრებს, რომლებმაც დიდი მუშაობა შეასრულეს.

— ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსმა, — თქვა მან, — ხელი შეუწყო სხვადასხვა ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის განვითარებასა და გაღრმავებას, ხელი შეუწყო მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის საქმეს. ის უდიდესი ინტერესი, რომელიც მისდამი გამოჩენილ იქნა, ნებას გვაძლევს გამოვთქვათ აზრი, რომ ეს კონკურსი ტრადიციული გახდეს.

დ. შოსტაკოვიჩი პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსს დახურულად აცხადებს.

დამსწრეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის ლაურეატებმა ვ. კლიმოვმა (სსრ კავშირი), ვან კლიბერნმა (ამერიკის შეერთებული შტატები), ლიუ ში-კუნმა (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა), ლ. ვლასენკომ (სსრ კავშირი), ნ. შტარკმანმა (სსრ კავშირი), შ. რუხამ (რუმინეთი), ვ. პიკაიზენმა (სსრ კავშირი).

ლაურეატების გამოსვლას შეკრებილნი მხურვალედ შეხვდნენ. კონცერტს დიდი წარმატება ჰქონდა. პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა და მევიოლინეთა საერთაშორისო კონკურსის საზეიმო დახურვას დაესწრნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ა. ი. მიქოიანი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი.

საღამოს დაესწრო მისი უდიდებულესობა ბელგიის დედოფალი ელისაბედი.

დარბაზში იყვნენ დიპლომატიური კორპუსის წევრები. (საკდესი).

### პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულნი

14 აპრილს დღისით პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ჟიურიმ გამოაცხადა, თუ ვინ მოიპოვა გამარჯვება ამ შემოქმედებითს შეჯიბრებაში, რაც ორ კვირას გაგრძელდა.

ჟიურის თავმჯდომარემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ემილ გილელსმა გამოაქვეყნა ჟიურის გადაწყვეტილება. პირველი პრემია მიენიჭა ამერიკელ პიანისტს ვან კლიბერნს. მეორე პრემიები მიენიჭათ საბჭოთა პიანისტს ლევ ვლასენკოს და პიანისტ ლიუ ში-კუნს (ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა). მესამე პრემია მოიპოვა ნაუმ შტარკმანმა (სსრ კავშირი), მეოთხე — ედუარდ მიანსაროვმა (სსრ კავშირი), მეხუთე პრემია მიენიჭა მილენა მოლლოვას (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა), მეექვსე — ნადია გედა-ნოვას (საფრანგეთი), მეშვიდე — ტოიოაკი მაცუურას (იაპონია), მერვე — დანიელ პოლაკს (ამერიკის შეერთებული შტატები).

შეკრებილნი მქუხარე ტაშით მიესალმნენ კონკურსში გამარჯვებულთ.

გარდა ამისა, ჟიურიმ ერთსულოვნად მიაკუთვნა საპატიო დიპლომები ხუთ მუსიკოსს — ნატალია იუზბაშევას (სსრ კავშირი), როჟე ბუტრის (საფრანგეთი), სერჟიო დე-ვარელა სიდს (პორტუგალია), ეველინ კროშეს (საფრანგეთი) და ალექსი სკავრონსკის (სსრ კავშირი), რომლებმაც მაღალი მხატვრული მიღწევები ცხადყვეს მეორე ტურში. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა ყრილობა

## კრემლის დიდ სასახლეში გაიხსნა საკავშირო ალკკ XIII ყრილობა

15 აპრილს დილით [illegible]

[illegible] ...ული რესპუბლიკის, მექსიკის, მონღოლეთის, ნიდერლანდის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ურუგვაის, ფინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცარიის, შვეციის, იუგოსლავიისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სტუმრებს შორის არიან დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი ბრუნო ბერნინი და სტუ-[illegible]

[illegible] ყრილობის სახელით ამხ. შელეპინი გულითადად მიესალმება სტუმრებს — უცხო ქვეყნების მოძმე ახალგაზრდობის ორგანიზაციათა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციისა და სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის წარმომადგენლებს.

დელეგატები ირჩევენ ყრილობის პრეზიდიუმს, სამდივნოს, სარედაქციო და სამანდატო კომისიებს.

[illegible] უდიდესი აღმავლობით. ირჩევენ საპატიო პრეზიდიუმს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით.

ამტკიცებენ შემდეგ დღის წესრიგს:

1. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება.
2. საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება.
3. საკავშირო ალკკ ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

სიტყვა ეძლევა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ი. კირიჩენკოს, რომელიც კითხულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საკავშირო ალკკ XIII ყრილობისადმი. ყრილობის დელეგატებმა და სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს მისალმება. დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში.

ყრილობა იწყებს დღის წესრიგის პირველი პუნქტის განხილვას.

მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ა. ნ. შელეპინს.

## ა. ნ. შელეპინის მოხსენება

ამხანაგებო, ამბობს მომხსენებელი, ეს არის ჩვენ ყველამ უდიდესი ყურადღებით მოვისმინეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება ყრილობისადმი, რომელიც წაიკითხა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა ამხანაგმა ალექსი ილარიონისძე კირიჩენკომ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებაში მოცემულია კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობის საქმიანობის მაღალი შეფასება. ამასთან ერთად მისალმება შთამაგონებელი პროგრამაა კომკავშირის მუშაობისა ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის, კომუნისტური პარტიის დიად წინასწარდასახულობათა წარმატებით განხორციელებისათვის მისი ძალების შემდგომი მობილიზაციის საქმეში.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, მისი გადაწყვეტილებანი და მითითებანი კომკავშირის საბრძოლო პროგრამაა, საფუძვლად უდევს მთელ მის საქმიანობას. პარტიის ხელმძღვანელობა იყო, არის და მუდამ იქნება ყველაზე მთავარი და ყველაზე დიდმნიშვნელოვანი კომკავშირის მთელ მუშაობაში. კომკავშირის ძალაა პარტიული ხელმძღვანელობა.

ასრულებს რა პარტიის მითითებებს, კომკავშირმა განვლო დიდი გზა, განმტკიცდა და გამოიწრთო, დაეხმარა მილიონობით ახალგაზრდა საბჭოთა პატრიოტის, კომუნისტური პარტიისადმი, თავიანთი სამშობლოსა და საბჭოთა ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგულ კომუნიზმისათვის მებრძოლთა აღზრდას.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თქვენი სახელით, მთელი ლენინური კომკავშირის სახელით პირობა მივცე პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და ჩვენს ყრილობაზე მყოფ პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელებს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრებს, რომ კომკავშირი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც იქნება კომუნიზმისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში, მუდამ იქნება საყვარელი პარტიის უახლოესი და საიმედო თანაშემწე.

ამხ. შელეპინი ლაპარაკობს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ამბებზე, რომლებიც მოხდა ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრებაში კომკავშირის წარსული ყრილობის დროიდან.

საანგარიშო პერიოდში ახალგაზრდობის ლენინური კავშირის მთელი საქმიანობა განუყრელად დაკავშირებულია საერთო-სახალხო ბრძოლასთან კომუნიზმის მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებისათვის. ჩვენ დღეს შეგვიძლია ყრილობაზე სიხარულით განვაცხადოთ, რომ კომკავშირული ორგანიზაციების მობრუნებამ სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მხრივ, რაც პარტიის XX ყრილობის შემდეგ დაისახა, მთლიანად და სავსებით გაამართლა თავისი დანიშნულება.

თავის XIII ყრილობაზე კომკავშირი მოვიდა საბჭოთა კავშირის მშობლიური კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო უფრო მჭიდროდ შეკავშირებული, ვიდრე ოდესმე.

კომკავშირი აქტიურად მონაწილეობს სახალხო მეურნეობის აღმავლობაში. სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით გამსჭვალული სამას ათასზე მეტი წარმომადგენელი კომკავშირისა პარტიის მოწოდებით წავიდა აღმოსავლეთის, ციმბირის, ჩრდილოეთისა და დონბასის მშენებლობებზე. კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიოში უდიდესი კუიბიშევის ჰიდროელექტროსადგურისა და სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაში, ააშენეს ირკუტსკ-ბრატსკის მაღალვოლტიანი ელექტროგადმცემი ხაზი, რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების 450-ზე მეტი საწარმო. გაიყვანეს ყრუ ტაიგაში სტალინსკ-აბაკანის რკინიგზა. 40 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი კომკავშირული საგზურებით წავიდა დონბასის, კუზბასის, ყარაგანდის შახტებში. უკრაინის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ პირნათლად შეასრულეს კომუნისტური პარტიის დავალება და შახტმშენებლობის მსოფლიო პრაქტიკაში უმაგალითოდ ხანმოკლე ვადებში ააშენეს დონბასში 87 ახალი ქვანახშირის შახტი. კომკავშირის წარმომადგენლები ყველგან გმირულად შრომობენ, გვიჩვენებენ მამაცობისა და სიმტკიცის ნიმუშებს.

საანგარიშო პერიოდში, ამბობს შემდეგ მომხსენებელი, კომკავშირული ორგანიზაციები უფრო ღრმად ჩასწვდნენ საწარმოთა და მშენებლობათა საქმიანობას, უკეთ რაზმავენ ახალგაზრდობას ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. მარტო ახალგაზრდა მანქანათმშენებლებმა შარშან შეიტანეს 200 ათასი რაციონალიზატორული წინადადება. სრულიად საკავშირო კომკავშირულ ყულაბაში უკვე შეტანილია ხუთნახევარი მილიარდი მანეთი.

ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია წარმატებით იბრძვის ახალი ტექნიკის უსწრაფესად ათვისებისა და დანერგვისათვის, მოწყობილობისა და ნედლეულის რაციონალურად გამოყენებისათვის, ახალგაზრდა მუშების კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო აქტიურად უნდა ჩააბან ახალგაზრდობა მუშაობაში ახალი ტექნიკის დანერგვისა და ათვისებისათვის და ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის, ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი მანქანათმშენებლობაში სამი წლის მანძილზე სულ ცოტა 360 ავტომატური და ნახევრად-ავტომატური ხაზებისა და საამქროების, აგრეთვე 21 ავტომატიზებული მაღალი წარმადობის საგლინავი დგანისა და მილსაგლინავი საამქროს დანერგვას შავ მეტალურგიაში.

მთელმა ხალხმა დაუჭირა მხარი დონეცელი მეშახტის ნიკოლოზ მამაის ბრიგადის თაოსნობას, რომელმაც ვალდებულება იკისრა ყოველდღე დავალების გადამეტებით ცვლაში თვითეულ მუშაზე ამოილოს ტონანახევარი ქვანახშირი. სერიოზული ყურადღების ღირსია მოსკოვის ტრესტ „სტროიტელის" არკადი პეტრაკოვისა და ვასილ ვდოვინის კომპლექსური ბრიგადების ინიციატივა, რომლებმაც ვალდებულება იკისრეს საკავშირო ალკკ 40 წლისთავისათვის მიაღწიონ ისეთ შრომის ნაყოფიერებას, რომელიც დაგეგმილია 1960 წლის დამლევისათვის. ისინი წარმატებით ასრულებენ თავიანთ ვალდებულებას.

იმის გამო, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში ლითონის წარმოების გადიდებას, არის წინადადება, რომ ყრილობამ მოიწონოს ჩელიაბინსკის, ორენბურგის ოლქებისა და უკრაინის სსრ კომკავშირელთა და ახალგაზრდობის პატრიოტული თაოსნობა შავი მეტალურგიის ობიექტების ვადამდე ახაგებად და დამკვრელ კომკავშირულ მშენებლობებად გამოაცხადოს შვიდი ბრძმედის, სამი მარტენის ღუმელის, ცხრა საკოქსე ბატარეის, თერთმეტი საგლინავი დგანისა და მილსაგლინავი საამქროს და სხვა საწარმოთა მშენებლობა.

მთელი კომკავშირის საბრძოლო ამოცანა უნდა გახდეს შეფობა ქიმიური მრეწველობის საწარმოთა მშენებლობისადმი, ამ მშენებლობებზე ახალგაზრდა ენთუზიასტთა რაზმების გაგზავნა, ბრძოლა მათი ვადამდე ამუშავებისათვის.

ჩვენს ქვეყანას შეიძლება სამართლიანად ეწოდოს გიგანტური სამშენებლო მოედანი. იმის გამო, რომ წლითიწლობით ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო მეტი მასშტაბით შენდება ახალი სამრეწველო საწარმოები და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებანი, საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება შემოაქვს ყრილობის სახელით მიმართოს ახალგაზრდობას მოწოდებით: „ახალგაზრდობავ! დაეუფლე მშენებლის პროფესიებს, ჩადექი მშენებელთა რიგებში!". კიდევ უფრო მაღლა უნდა ავწიოთ მშენებლის პროფესიის მნიშვნელობა, დიდების შარავანდედით შევამკოთ იგი. შემოსულია წინადადება, რომ კომკავშირის კომიტეტებმა სახალხო მეურნეობის საბჭოებთან ერთად შეარჩიონ და უახლოეს დროში „ნებაყოფლობის საწყისებზე" გაგზავნონ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ რაიონებსა და ყაზახეთში მშენებლობაზე სულ ცოტა ერთი მილიონი კომკავშირელი და ახალგაზრდა და უწინარეს ყოვლისა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა რიცხვიდან. საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს იმედი აქვს, რომ ეს მოწოდება ახალგაზრდობის მხარდაჭერას ჰპოვებს.

კომუნისტური პარტია მოუწოდებს მშრომელებს ყველაფერში დაიცვან ეკონომიის მკაცრი რეჟიმი. კომკავშირელებსა და ახალგაზრდობას დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლაში. აქ ინიციატორებად გამოვიდნენ გროზნოელი კომკავშირელები. ჩვენ კვლავაც უნდა ჩავაბათ ახალგაზრდობა წარმოებაში ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის, პროდუქციის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლაში, ახალგაზრდა მეცნიერების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, წარმოების ნოვატორების ღონისძიებანი წარვმართოთ იმისაკენ, რომ შეიმუშაონ და შექმნან ახალი, უფრო ეკონომიური მანქანები, მექანიზმები, აგრეგატები, მასალები, სამრეწველო, სამოქალაქო და კულტურულ - საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროექტები.

ამხ. შელეპინი აღნიშნავს, რომ კომკავშირი აქტიურად მონაწილეობს იმ ღონისძიებათა განხორციელებაში, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა სოფლის მეურნეობის საკითხებზე: იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი ეტაპია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილება „საკოლმეურნეო წყობილების შემდგომი განვითარებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციის შესახებ". მტს-ების რეორგანიზაცია კომკავშირის წინაშე აყენებს დიდმნიშვნელოვან ამოცანებს. საკოლმეურნეო ორგანიზაციებში მტს-ებიდან შევა დაახლოებით 300 ათასი კომკავშირელი. კომკავშირელი მექანიზატორები ვალია, უწინარეს ყოვლისა, წავიდნენ არასაკმაოდ განმტკიცებულ კოლმეურნეობებში, რათა ისინი აიყვანონ მოწინავეთა დონეზე. კოლმეურნეობათა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საკოლმეურნეო სარემონტო სახელოსნოების, გარაჟებისა და ფარდულების მშენებლობაში, მექანიზატორები მოიცვან ყურადღებითა და მზრუნველობით.

საწარმოთა და მშენებლობათა კომკავშირულ ორგანიზაციებს შეუძლიათ დიდი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს. ყოველგვარი მხარდაჭერის ღირსია ქალაქ კუიბიშევის კომკავშირელთა წამოწყება, რომლებმაც გადაწყვიტეს 1958 წელს კოლმეურნეობებისათვის აღადგინონ და დაამზადონ 100 ჩარხი, გააკეთონ 500 ათასი მანეთის სხვადასხვა ინსტრუმენტი, ააგონ 100 სახელოსნო, მოახდინონ 80 სოფლის ელექტროფიკაცია, მოამზადონ 500 ზეინკალი, ხარატი და ელექტრომონტიორი. თავის ვალდებულებებს ისინი წარმატებით ასრულებენ.

ლენინურმა კომკავშირმა თავის ისტორიაში პარტიის მოწოდებით ცოტა სახელოვანი საქმე როდი გააკეთა სამეურნეო მშენებლობაში. მაგრამ შეიძლება გაუზვიადებლად ითქვას, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანი და დიდი მათ შორის იყო კომკავშირის მონაწილეობა ყამირის ათვისებაში. საბჭოთა ახალგაზრდობის შესანიშნავი გმირობა სამუდამოდ ჩაიწერება ოქროს ფურცლად კომუნისტური მშენებლობისა და ლენინური კომკავშირის სახელოვან საქმეთა მატიანეში. ახალგაზრდა პატრიოტმა ახალდასახლებულებმა თავიანთი გმირული შრომით, მამაცობითა და მედგრობით დახმარება გაუწიეს 36 მილიონზე მეტი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწების ათვისებას და ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში მარცვლეულის დიდი ბაზის შექმნას. მათ არა მარტო მოხნეს მიწა და მოიყვანეს პური. მათ იქ შექმნეს საბჭოთა მეურნეობები, ააშენეს დაბები, გაიყვანეს გზები, დარგეს ბაღები, გაიყვანეს ელექტრობა, რადიო, ტელეფონი. და ყველაფერი ეს გაკეთდა ოთხ წელიწადში. პარტიამ და ხალხმა დიდად დააფასეს ახალგაზრდობის თავდადებული შრომა ყამირზე. კომკავშირი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. 30 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი დაჯილდოებულია ორდენებით და მედლებით. 262 კაცს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება.

სოფლის კომკავშირი, აღნიშნავს მომხსენებელი, აქტიურად მონაწილეობს იმ საყოველთაო-სახალხო ამოცანის განხორციელებაში, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მეცხოველეობაში სამუშაოდ უკანასკნელ წლებში გაიგზავნა 650 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი. მეცხოველეობის დაახლოებით 40 ათას ფერმას მომსახურებას უწევენ მხოლოდ კომკავშირელები და ახალგაზრდობა.

მაგრამ, აღნიშნავს მომხსენებელი, სოფლის კომკავშირის მუშაობაში ჯერ კიდევ ცოტა როდია სერიოზული ნაკლი. ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია აქტივობასა და ინიციატივას არ იჩენს შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და შინარეზერვების უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლაში, ცუდად უნერგავს ახალგაზრდობას სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონებისადმი და უწინარეს ყოვლისა ტექნიკისადმი ფრთხილ, ყაირათიან მოპყრობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მომავლის დიდებული ამოცანები დასახა. ჭეშმარიტად წარმტაცია ჩვენი ქვეყნის უახლოესი 15 წლის განვითარების პერსპექტივები, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე. ისტორიულად უმოკლეს ვადებში ამ გეგმების განხორციელება შესაძლებლობას მოგვცემს დავეწიოთ და გავუსწროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს, ამხანაგებო, დიდი და ნათელი მიზანია, რომელიც აღაფრთოვანებს ჩვენს ახალგაზრდა თაობას, აათკეცებს მის ძალებს, აქეზებს მას იმუშაოს შთაგონებულად, მგზნებარედ და ბეჯითად.

აი ამიტომ საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს წინადადება შემოაქვს, რომ ლენინურმა კომკავშირმა იკისროს დიდი და ძნელი ვალდებულებანი ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობაში მონაწილეობისათვის.

ამხ. შელეპინის მოხსენებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კომკავშირში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს.

პარტიასა და სახელმწიფოს სურთ, რომ ახალგაზრდობა იზრდებოდეს შრომისმოყვარე და ჯანმრთელი, მხნე და სიცოცხლისუნარიანი, დიდად განათლებული და კულტურული, გახდეს კომუნიზმის მშენებელთა უფროსი თაობის ღირსეული ცვლა.

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის გაძლიერებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობას. ხელმძღვანელობენ რა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებით, კომკავშირული ორგანიზაციები უფრო მჭიდროდ უკავშირებენ იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებს, უფრო კონკრეტულად და დამაჯერებლად ახორციელებენ მას.

მოზარდი თაობის იდეური აღზრდის შინაარსიანი პროგრამა შეიმუშავა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმმა. ახორციელებენ რა პლენუმის გადაწყვეტილებებს, კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა ახალგაზრდობის აღსაზრდელად რევოლუციურ ტრადიციებზე, დღევანდელი დღის ჰეროიკაზე. გაუმჯობესდა ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური განათლება. ამ წლებში უმჯობესდებოდა პოლიტიკური განათლების სისტემა, შემოღებულ იქნა კონკრეტული ეკონომიკის შემსწავლელი წრეები და სემინარები, მიმდინარე პოლიტიკისა და კომკავშირის ისტორიის წრეები. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა დიდი ტირაჟებით გამოსცა ლიტერატურა კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლების დასახმარებლად.

უფრო ფართოდ ვიყენებთ პრესას აღმზრდელობით მუშაობაში. ახლა გამოდის 133 კომკავშირული გაზეთი და 14 ჟურნალი, რომელთა ერთჯერადი ტირაჟი თითქმის 14 მილიონ ცალს აღწევს. ეს თითქმის ერთიორად აღემატება მათს ომამდელ ტირაჟს.

კომკავშირელთა ინიციატივამ და თვითმოქმედებამ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ბევრი ახალი და საინტერესო ფორმა წარმოშვა: ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი საღამოები, საღამოები მეცნიერებისა და ტექნიკის შესახებ მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში; ესტაფეტები რევოლუციური ბრძოლების ადგილებში ლენინგრადის, ულიანოვსკის ოლქებსა და ზღვისპირეთის მხარეში; საღამოები ხალხთა მეგობრობის შესახებ უკრაინაში, საქართველოში, ლატვიაში, ყირგიზეთში, უზბეკეთში; ახალგაზრდული კლუბები მოლდავეთის სს რესპუბლიკაში; ქალაქის კულტურული დახმარება სოფლისადმი ბელორუსიის სს რესპუბლიკაში, ორენბურგის ოლქში და სხვ. საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა მხარი დაუჭირა ამ წამოწყებებს.

მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ადგილობრივმა ხელმძღვანელმა კომკავშირულმა ორგანოებმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ ვერ შეძლეს სავსებით გაეშალებინათ ფართო მუშაობა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილების განსახორციელებლად.

ამის შედეგად ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის ბევრი დიდი ნაკლი ახალგაზრდობაში კომკავშირის იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში. ნელა ძლევენ იდეოლოგიური მუშაობის მოწყვეტას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკისაგან. ამ მუშაობას აკლია შეტევითი უნარი, განსაკუთრებით კაპიტალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ჩვენთვის მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ლაპარაკობს რა აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია თავის პოლიტიკურ მუშაობაში ანგარიშს არ უწევს საბჭოთა ახალგაზრდობის ახლანდელი თაობის თავისებურებებს, რომელსაც არ გაუვლია რევოლუციური ბრძოლისა და წრთობის მკაცრი სკოლა, რაც წილად ხვდა ძველ თაობას. ახალგაზრდობის ნაწილს ცუდად აქვს წარმოდგენილი, თუ რა ფასით, სისხლით და ოფლით არის მოპოვებული ის პირობები, რომლებშიც იგი ახლა ცხოვრობს, და მიაჩნია, რომ ასე იყო ყოველთვის.

თანამედროვე პირობებში, ამბობს შემდეგ ამხ. შელეპინი, სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში, როცა მასების შეგნების დონეზე უდიდესად დამოკიდებულია ჩვენი სახელმწიფოს წინსვლა კომუნიზმისაკენ, როცა არ წყდება იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური იერიშები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, — ახალგაზრდობის იდეური აღზრდის საკითხებს, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებას კომკავშირისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ კვლავაც უნდა აღვზარდოთ ნამდვილი ლენინელები, იდეურად დარწმუნებული ადამიანები, რომლებსაც უსაზღვროდ უყვართ თავიანთი სამშობლო. შრომაში აღზრდა იყო, არის და იქნება მთავარი რამ კომუნისტური აღზრდის მთელ მუშაობაში, ასე გვასწავლიდა ლენინი. ამას გვასწავლის პარტია. უნდა ვიბრძოლოთ იმათ წინააღმდეგ, ვინც პარაზიტულ ცხოვრებას ეწევა, ვიბრძოლოთ წუნისმკეთებლების, სოციალისტური საკუთრების დამტაცებლების, შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ.

ჩვენი ქვეყნის პირობებში, სადაც ისტორიაში პირველად შეიქმნა ხალხთა თანასწორუფლებიანი კავშირი, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობის აღზრდას ხალხთა მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდაში განსაკუთრებული როლი უნდა მიენიჭოს ყოველწლიურ დღესასწაულს — საბჭოთა ახალგაზრდობის დღეს, რომელიც გადაიქცევა ახალგაზრდობის სასიხარულო დღესასწაულად.

ლაპარაკობს რა საბჭოთა ახალგაზრდობის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში ლიტერატურისა და ხელოვნების უდიდეს როლზე, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახალგაზრდობის ცხოვრებისა და ბრძოლის თემა ახლა უფრო სრულად ისახება ხელოვნების ნაწარმოებებში. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა უკანასკნელ წლებში ბევრი მკაფიო ნაწარმოები შექმნეს. მაგრამ, როგორც ბევრ კონფერენციასა და ყრილობაზე ყოფილა აღნიშნული, დელეგატები მკვეთრად აკრიტიკებდნენ მთელ რიგ წიგნებს, აგრეთვე კინოფილმებს „ადამიანი დაიბადა", „ჩვენთან ერთად", სპექტაკლს „ფაბრიკის გოგო", რომლებშიც სწორად არ არის ასახული კომკავშირისა და კომკავშირული მუშაკების ცხოვრება. მწერლები მეტად ცოტას ქმნიან მეცნიერულ-ფანტასტიკური და სათავგადასავლო ჟანრის წიგნებს, რომლებიც მოგვითხრობენ მომავალ კომუნისტურ საზოგადოებაზე. ამასთან ერთად უკანასკნელ დროს წიგნის ბაზარი აავსეს დაბალხარისხოვანმა ეგრეთწოდებულმა „სათავგადასავლო" წიგნებმა, რომელთა გამოცემაში განსაკუთრებით გულმოდგინეობს სამხედრო გამომცემლობა.

სუსტად აისახება კომკავშირისა და ახალგაზრდობის ცხოვრება ჩვენს კინოში. მართლაც, ხუთ წელიწადში გამოშვებულია 565 სრულმეტრაჟიანი და მცირემეტრაჟიანი დოკუმენტალური კინოფილმი და მათ შორის მხოლოდ 29 ფილმია ახალგაზრდობის შესახებ.

კომკავშირის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა, ამბობს მომხსენებელი, ახალგაზრდობის მომზადება საბჭოთა არმიაში სამსახურისათვის. კომკავშირი უფრო მეტ ყურადღებას აქცევს თავდაცვით-მასობრივ მუშაობას. მარტო ორ უკანასკნელ წელიწადში არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობ ნებაყოფლობით საზოგადოებაში შევიდა დაახლოებით ორი მილიონი კომკავშირელი. კომკავშირმა კვლავაც ყოველი ღონისძიებით უნდა განამტკიცოს საშეფო კავშირი საბჭოთა არმიასთან და სამხედრო-საზღვაო ფლოტთან.

ლენინური კომკავშირის წმიდა ვალია მთელი ძალებით გაუწიოს დახმარება კომუნისტურ პარტიას ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, საბჭოთა ახალგაზრდობა აღზარდოს სიფხიზლისა და მუდმივი მზადყოფნის სულისკვეთებით, რათა საჭირო შემთხვევაში მკერდით დაიცვას თავისი საყვარელი სამშობლო.

საანგარიშო მოხსენების დიდი განყოფილება მიეძღვნა სკოლისა და სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირი მნიშვნელოვნად უფრო მეტად ეხმარებოდა სკოლას ბავშვთა სწავლებასა და აღზრდაში, ხელს უწყობდა სკოლის კავშირის განმტკიცებას ცხოვრებასთან. სასიხარულოა, ამბობს მომხსენებელი, რომ ახლა ბევრი მოსწავლე მონაწილეობს სასკოლო სახელოსნოების, ფიზკულტურული დარბაზების, სათბურების მშენებლობაში, კაბინეტების მოწყობაში, სასწავლო-საცდელი ნაკვეთების შექმნაში, ხოლო უფროსი კლასების მოსწავლეები — საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში. მხარდაჭერისა და გავრცელების ღირსია უკრაინის კომკავშირის ინიციატივა, რომელმაც იკისრა ორ წელიწადში ააგოს 683 ახალი სკოლა და არსებულ შენობებს მიაშენოს 4 ათასი საკლასო ოთახი, რაც შესაძლებლობას შექმნის უახლოეს წლებში რესპუბლიკის სკოლები გადაყვანილ იქნან ერთ ცვლად მეცადინეობაზე. შესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს სტავროპოლის მხარის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებთან ერთად შექმნეს რა უფროსი კლასების მოსწავლეთაგან მოსწავლეთა ბრიგადები, რომლებიც კოლმეურნეობებში იღებენ მიწის ნაკვეთებს, იარაღებსა და მანქანებს და თვითონ ასრულებენ ყველა სამუშაოს. წარსული წლებისაგან განსხვავებით საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი ახლა უმთავრესად მიდიან სახალხო მეურნეობაში. მაგრამ მოსწავლეთა ერთ ნაწილს საძრახისად მიაჩნია სკოლის დამთავრების შემდეგ იმუშაოს ქარხანაში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობაში. კომკავშირის ამოცანაა გააძლიეროს სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა შრომითი ცხოვრებისათვის მოსწავლეთა მომზადების საქმეში, მათთვის მოქალაქეობრივი სიმწიფის დანერგვაში.

სასიხარულო ცვლილებანი ხდება საკავშირო ალკკ XII ყრილობის შემდეგ პიონერულ მუშაობაში. ვითარდება თვითმოქმედება და შეჯიბრება, მტკიცდება ახალი ტრადიციები. პიონერებს უფრო აქტიურად აბამენ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში.

ამხ. შელეპინი ლაპარაკობს კომკავშირის მუშაობაზე სტუდენტ ახალგაზრდობაში, მთავარ ამოცანაზე უმაღლესი განათლების დარგში — ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ სპეციალისტთა მომზადების ხარისხი წარმოებასთან სწავლების მჭიდრო კავშირის საფუძველზე. უმაღლეს სასწავლებელთა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირის საოლქო, სამხარეო კომიტეტებმა, მოკავშირე რესპუბლიკების ალკკ ცენტრალურმა კომიტეტებმა და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა უნდა უზრუნველყონ სტუდენტ ახალგაზრდობაში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება. მოთმინებით დარწმუნებისა და ამხანაგური კრიტიკის მეთოდით საჭიროა გამოვასწოროთ ცალკეული ამხანაგების შეცდომები, დავეხმაროთ მათ უფრო ღრმად შეიცნონ მშრომელი ხალხის ცხოვრება, შეძლებისდაგვარი მონაწილეობა მიიღონ მის შემოქმედებითს შრომაში.

კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გამოიყენონ მათთვის მინიჭებული უფლებანი უმაღლეს სასწავლებელთა შინაური ცხოვრების საკითხების გადაჭრაში, უზრუნველყონ კომკავშირის წარმომადგენელთა აქტიური მონაწილეობა სამეცნიერო საბჭოებში, უმაღლეს სასწავლებლებში მიმღებ კომისიებში, სტიპენდიებისა და საერთო საცხოვრებლებში ადგილების განაწილებაში.

„ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ ინიციატივა და თვითმოქმედება საკავშირო ალკკ-ში" — ასეა დასათაურებული საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენების ერთ-ერთი განყოფილება.

პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირი გაიზარდა, განმტკიცდა ორგანიზაციულად და პოლიტიკურად, გახდა ნამდვილად მასობრივი 18-მილიონიანი ორგანიზაცია, რომელიც დიდ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალას წარმოადგენს. ეს არის ჩვენი დღეების კომკავშირის დიდმნიშვნელოვანი თავისებურება, ამბობს ამხ. შელეპინი.

ამაღლდა კომკავშირის როლი კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში. 340 ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი მშრომელთა დეპუტატების საბჭოების დეპუტატები არიან, ათეულ ათასობით კომკავშირელია პროფკავშირულ, კულტურულ, ფიზკულტურულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელ ორგანოებში. მარტო უკანასკნელ წლებში თითქმის ექვსნახევარი ათასი კომკავშირული მუშაკი დაწინაურებულია პარტიულ, სახელმწიფოებრივ და სამეურნეო სამუშაოზე. საკავშირო ალკკ წევრთა დიდი რაზმი მუშაობს საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების ხელმძღვანელებად. ყოველივე ეს მოწმობს პარტიისა და ხალხის დიდ ნდობას საბჭოთა ახალგაზრდობისადმი, ლენინური კომკავშირისადმი.

მომხსენებელი აცხადებს, რომ დღემდე კადრებისა და აქტივის ერთი ნაწილი ჯერ კიდევ საკმაოდ არ ითვალისწინებს თავის მუშაობაში ვ. ი. ლენინის და კომუნისტური პარტიის მითითებებს იმის შესახებ, რომ კომკავშირის მთელი მუშაობა ყველა რგოლში უნდა შენდებოდეს საკავშირო ალკკ წევრთა ფართო თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი აქტივობის საფუძველზე. სამწუხაროდ, თვითმოქმედების წამოწყებანი ხშირად ძნელად იკაფავს გზას, ჯერ კიდევ არის კმაყოფაზე ყოფნის ფაქტები, გადიდებულია ხელფასიანი აპარატის მნიშვნელობა, სუსტად აბამენ კომკავშირულ აქტივს მუშაობაში.

თვითმოქმედების შემდგომი განვითარება კომკავშირში, ამბობს ამხ. შელეპინი, მოითხოვს, რომ გაძლიერდეს ყურადღება კომკავშირული დემოკრატიის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელებისადმი, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებისადმი.

შემდეგ ამხ. შელეპინი ყრილობის დელეგატებს ატყობინებს ზოგიერთ ნაწილობრივ ცვლილებას, რომლებიც საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტს განზრახული აქვს შეიტანოს საკავშირო ალკკ წესდებაში.

შეეხო რა ახალგაზრდობის საერთაშორისო მოძრაობის საკითხებს, მომხსენებელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლები იყო ახალგაზრდობის საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შემდგომი ზრდის, კაპიტალიზმის იდეების სულ უფრო მეტი ბანკროტობისა და ახალგაზრდობაში ბურჟუაზიული იდეოლოგიის გავლენის დაცემის წლები. თუ მეორე მსოფლიო ომამდე ახალგაზრდობის კომუნისტური ორგანიზაციების რიგებში 5 მილიონზე ნაკლები კაცი იყო, ამჟამად ისინი 60 მილიონამდე ქალიშვილსა და ჭაბუკს აერთიანებენ.

საანგარიშო პერიოდში კომკავშირი წმიდად ასრულებდა თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას, განამტკიცებდა კავშირსა და თანამშრომლობას მოძმე კომუნისტურ ორგანიზაციებთან, ხელს უწყობდა დემოკრატიული ახალგაზრდობის დარაზმვას. ამჟამად საბჭოთა ახალგაზრდობას მეგობრული ურთიერთობა აქვს მსოფლიოს თითქმის 100 ქვეყნის ახალგაზრდობასთან. შესანიშნავი მოვლენა იყო VI მსოფლიო ფესტივალი მოსკოვში, რომელიც მშვიდობისა და ურთიერთგაგებისადმი მსოფლიოს ქალიშვილებისა და ჭაბუკების მისწრაფების მკაფიო დემონსტრაციად გადაიქცა.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. შელეპინი ამბობს, რომ წლევანდელი 1958 წელი განსაკუთრებულია კომკავშირისა და საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრებაში. 29 ოქტომბერს საბჭოთა ახალგაზრდობა აღნიშნავს ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავს. განვლილი 40 წლის მანძილზე კომკავშირმა დიდი და სახელოვანი გზა გაიარა, მთელი ამ წლების განმავლობაში იგი იყო კომუნისტური პარტიის ერთგული თანაშემწე და მებრძოლი რეზერვი, ღირსეულად ასრულებდა მშობლიური პარტიისადმი მამაშვილური ერთგულების წმიდათაწმიდა ფიცს — ლენინურად იცხოვროს, იმუშაოს და იბრძოლოს.

პარტიის ნდობით აღჭურვილი, ბრძოლასა და შრომაში იზრდება და ვაჟკაცდება, იძენს რევოლუციურ წრთობას საბჭოთა ახალგაზრდობა. კომკავშირი კვლავაც ყველაფერში მიბაძავს კომუნისტურ პარტიას, კომუნისტებს.

შეიძლება რწმენით ითქვას, რომ არასოდეს არ აქცევდნენ კომკავშირს ისეთ დიდ ყურადღებას პარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი, როგორ ყურადღებასაც აქცევენ ახლა.

საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ყველა წევრის სახელით ა. ნ. შელეპინი მხურვალე მადლობას უძღვნის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს და საბჭოთა მთავრობას მოზარდი თაობაზე ზრუნვისათვის, კომკავშირზე ზრუნვისათვის და აღუთქვამს მათ, რომ ლენინური კომკავშირი, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობა კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, კვლავაც მტკიცედ და განუხრელად მიჰყვებიან პარტიას, მთელ თავიანთ ჭაბუკურ სიხალისეს, მთელ თავიანთ ძალღონეს, უნარსა და ნიჭს მოახმარენ დიად მიზანს — კომუნიზმის აშენებას.

★ ★ ★

ყრილობის მონაწილეებმა მოისმინეს საკავშირო ალკკ ცენტრალური სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ნ. ტემნიკოვმა.

შემდეგ ყრილობა შეუდგა საანგარიშო მოხსენებათა განხილვას. კამათში გამოვიდნენ საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. პ. პავლოვი, უკრაინის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ი. დროზდენკო, კომკავშირის ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის მდივანი პ. ნ. რეშეტოვი, ყაზახეთის ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ს. დ. კონუებაევი, „მედსტროის" (ნორილსკი) კანტორის ტელეცენტრის მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი ლ. ი. ივანოვი.

ტრიბუნაზეა ჩინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ხუ კე-ში. დელეგატებმა და სტუმრებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს დიდი ქვეყნის სახელოვანი ახალგაზრდობის წარმომადგენელს. 24 მილიონი კომკავშირელისა და 120 მილიონი ჩინელი ახალგაზრდის სახელით იგი მხურვალედ, ძმურად მიესალმა საკავშირო ალკკ XIII ყრილობას და გულითადი სალამი გადასცა საბჭოთა კავშირის კომკავშირელებს და ყველა ქალიშვილსა და ჭაბუკს.

აღნიშნავს რა საბჭოთა ახალგაზრდობის სახელოვან საქმეებს კომუნიზმის მშენებლობაში, ამხ. ხუ კე-ში ამბობს, რომ ჩინეთის ახალგაზრდობა, კომკავშირელები დიდ პატივს სცემენ მეგობრობას, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ახალგაზრდობას შორის და განავითარებენ და განამტკიცებენ მას.

ამხ. ხუ კე-ში კითხულობს საკავშირო ალკკ XIII ყრილობისადმი ჩინეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მისალმების ტექსტს და გადასცემს საჩუქარს — სურათს „ვ. ი. ლენინი კომკავშირის III ყრილობის დელეგატებს შორის".

დარბაზში მყოფნი გულთბილად შეხვდნენ დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტს ბრუნო ბერნინს. დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის სახელით მან საბჭოთა ქალიშვილებსა და ჭაბუკებს მიულოცა დიდი წარმატებანი ბედნიერი ცხოვრების მშენებლობაში, მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში.

სტუდენტთა საერთაშორისო კავშირის მხურვალე გულწრფელი სალამი გადასცა ყრილობას, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობასა და სტუდენტობას კავშირის პრეზიდენტმა ირჟი პელიკანმა.

ყრილობას „ავსტრიის თავისუფალი ახალგაზრდობის" კავშირისაგან ძმური სალამი გადასცა კავშირის სამდივნოს წევრმა ერიხ ბუზლერმა. საერთაშორისო მოსამზადებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, თქვა მან, ახალგაზრდობის VII მსოფლიო ფესტივალი გაიმართება ვენაში. ავსტრიელი ახალგაზრდობა შეძლებს საბჭოთა სტუმრებს მიესალმოს თავის დედაქალაქში.

ტრიბუნაზეა ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტოდო ლუბონია. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს ყრილობა, კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის გამოცდილება მეტად ძვირფასია ალბანელი ხალხის ახალგაზრდა თაობისათვის. ტოდო ლუბონიამ ტაშის გრიალში გადასცა პრეზიდიუმს ალბანეთის მშრომელი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის დროშა.

თავმჯდომარემ — საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. ნ. მესიაცევმა დელეგატთა სახელით გულითადი მადლობა გადაუხადა უცხოეთის ახალგაზრდათა ორგანიზაციების წარმომადგენლებს ყრილობისადმი მისალმების გულთბილი სიტყვებისათვის, საბჭოთა ახალგაზრდობისადმი კეთილი სურვილებისათვის, საჩუქრებისათვის.

ყრილობამ მოისმინა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამანდატო კომისიის თავმჯდომარის ვ. ე. სემიჩასტნის მოხსენება. საკავშირო ალკკ XII ყრილობის შემდეგ გასულ დროში კომკავშირში მიღებულია 10.327.128 კაცი; შექმნილია 16 ათასზე მეტი ახალი პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია.

ყრილობაზე არჩეულია სსრ კავშირის 48 ეროვნების წარმომადგენლები.

ყრილობა ერთხმად ამტკიცებს სამანდატო კომისიის მოხსენებას.

ყრილობის შემდეგი სხდომა გაიმართება 16 აპრილს. (საქტაგი).

# პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

ამ დღეებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში გაიმართა პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ვ. პ. მჟავანაძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, მ. დ. ჩუბინიძემ, პ. ვ. კოვანოვმა, ფ. დ. დუმბაძემ, ა. ნ. ინაურმა, გ. ა. გეგეშიძემ, გ. ი. ჩოგოვაძემ, ე. ა. შევარდნაძემ.

თათბირმა მოისმინა მოხსენებანი რესპუბლიკის პროკურორის ამხ. მ. თოფურიძის, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხ. ვ. ჯანჯღავას, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის ამხ. ს. როსტიაშვილის და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. მ. ლომიძისა სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში და დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოების ამოცანების შესახებ.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ თბილისის პროკურორმა ამხ. მ. ვეფხვაძემ, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. ა. მარკოიშვილმა, ქალაქ თბილისის ლენინის რაიონის სახალხო მოსამართლემ ამხ. ვ. არავიაშვილმა, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ამხ. პ. არშბამ, ქალაქ რუსთავის პროკურორმა ამხ. ს. კაჭარავამ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. გ. ჯიბლაძემ, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. შევარდნაძემ, ქალაქ თბილისის მილიციის სამმართველოს უფროსმა ამხ. ა. ძლიერიშვილმა, ქალაქ სტალინირის სახალხო მოსამართლემ ამხ. ქ. ძუკაევმა.

კამათში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. ვ. ვ. ზოლოტუხინმა.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ. (საქინფორმი).

# საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოში

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოში შეიქმნა ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭო, რომელშიც შედიან კომკავშირული და პიონერული მუშაკები, იმ ორგანიზაციათა და უწყებათა წარმომადგენლები, რომლებიც მუშაობას ეწევიან ბავშვებში, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და სპორტის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

რესპუბლიკური საბჭო ხელს შეუწყობს დადებითი გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებას, ადგილებზე პიონერული საბჭოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობასა და მუშაობის კოორდინაციას.

საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. დ. დუმბაძე. ბიუროს შემადგენლობაში 9 წევრია.

საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან შეიქმნა ოთხი განყოფილება: პიონერული მუშაობის, კლასგარეშე მუშაობის, საბავშვო სახლებისა და სკოლა-ინტერნატების, ოქტომბრელთა შორის მუშაობისა. შეიქმნა აგრეთვე პიონერებთან მუშაობის სექციები, რომლებშიც შევიდნენ საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკურ საბჭოსთან შეიქმნას პიონერული მუშაობის კაბინეტი. საბჭომ უკვე განიხილა პიონერული ორგანიზაციების მუშაობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, დასახა 1958 წლის მუშაობის გეგმა, აგრეთვე საკავშირო ალკკ 40 წლისთავის მომზადებასა და მოწყობაში რესპუბლიკის პიონერული ორგანიზაციების მონაწილეობის ღონისძიებანი.

29 ოქტომბერს გაიმართება საზეიმო შეკრებანი და ხაზები, კოცონები, შეხვედრები ყოფილ კომკავშირელებთან, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, პირველი ხუთწლედების მშენებლებთან, წარმოების მოწინავე კომკავშირელებთან და საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეომრებთან. საკავშირო ალკკ 40 წლისთავის აღსანიშნავად პიონერული რაზმები და რაზმეულები პატაკს წარუდგენენ კომკავშირულ ორგანიზაციებს. (საქინფორმი).

# სამშობლოს ერთგული შვილები

ამ დღეებში თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სამხედრო კომისარმა პოდპოლკოვნიკმა მ. გელაძემ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ჯილდოები გადასცა ყოფილ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებმაც თავი ისახელეს დიდ სამამულო ომში. დაჯილდოებულთა შორის არიან დ. ბეჟიტაშვილი, ჰ. მედვედევი, ი. მიქაბერიძე, გ. მახარაძე, ს. ნატროშვილი, გ. მელიქიშვილი და სხვ.

სახელოვანი მეომრები ახლა წარმატებით შრომობენ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, თავიანთი წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

**გ. ტუმანოვი.**

# მოწინავეთა საამაყო სახელები

სოფლად გაიზარდნენ შესანიშნავი ადამიანები, რომლებიც საბჭოთა აგრონომიული მეცნიერების გამოყენებით სასწაულებს ახდენენ აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

ვინ არ იცნობს მეაბრეშუმეობაში ქისტაურელთა მოძრაობის ინიციატორს, პარკის უხვი მოსავლის ოსტატს, სტალინური პრემიის ლაურეატს ოსანა აივაზაშვილს! იგი რამდენიმე წელია მეაბრეშუმეობის რგოლის ხელმძღვანელად მუშაობს. ჭიის გამოკვების მისი მეთოდი ფართოდ ინერგება რესპუბლიკაში. შარშან ამხ. აივაზაშვილის რგოლს მოსავლელად მიჩენილი ჰქონდა 150 გრამი აბრეშუმის ჭია. გეგმით უნდა მიეღო 364 კილოგრამი პარკი. ფაქტიურად კი მიიღო 1.141 კილოგრამი.

რით აღწევს ამ მაჩვენებლებს ოსანა აივაზაშვილის რგოლი?

ჭიის გამოკვებამდე ამზადებენ საჭიე ბინებს, ახდენენ ბინისა და ინვენტარის დეზინფექციას. აბრეშუმის ჭიას პირველ სამ ასაკში აძლევენ დაჭრილ ფოთოლს დღეში 10-12-ჯერ, ღამით 4-5-ჯერ. დაჭრილი ფოთლის უპირატესობა ის არის, რომ ფოთოლი ლასტებზე თანაბრად ნაწილდება, ჭია კი კიდიდან იწყებს ჭამას და ადვილად ეხება ფოთლის კიდურებს.

სადღეღამისო კვებისას მეაბრეშუმეებს საშუალება ეძლევათ თვალყური ადევნონ ბინის ტემპერატურასა და სინესტეს. ბინაში ჭიის შეყვანამდე დაცულია 25-26 გრადუსი ტემპერატურა. ასეთ ტემპერატურას ინარჩუნებენ პირველ ასაკებში, მაგრამ შემდგომ უკანასკნელ ასაკებში 23-24 გრადუსამდე დაჰყავთ.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ჭიის განლაგებას ლასტებზე. ხშირად უცვლიან ნაძირს, რადგან ბევრი და ძველი ნაძირი ჭიის დაავადებას იწვევს.

არც საცახე მასალების მომზადებას ივიწყებენ. ამას ადრევე ამზადებენ და ჩრდილში ინახავენ. საცახე მასალას კრავენ პატარპატარა კონებად და წესიერად აწყობენ ლასტებზე. პარკის გამოკრეფას იწყებენ ახვევის დამთავრებიდან 8-9 დღის შემდეგ. პარკს გრილ ამინდში აზარებენ. ზუსტად ასრულებენ აგროწესებით გათვალისწინებულ სხვა ღონისძიებებსაც.

ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მიბაძვით სახელი გაითქვა წულუკიძის რაიონის სოფელ მათხოჯის კოლმეურნეობის მერგოლეურმა ნინო ბარაბაძემ. გასულ წელს მისი რგოლის ვალდებულება იყო 162 გრამი მურიდან მიეღო 286 კილოგრამი პარკი. ბეჯითი შრომის შედეგად ნაკისრი ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულა — მიიღო 456 კილოგრამი საუკეთესო ხარისხის აბრეშუმის პარკი.

აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გადიდებაში მდიდარი გამოცდილება აქვთ მახარაძის რაიონის სოფელ ცხემლისხიდის კოლმეურნეობაში ნადია ბერძენიშვილს და ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის კოლმეურნეობაში ლოლა კომახიძეს. ორივენი რგოლის ხელმძღვანელები არიან. წლების მანძილზე მათი რგოლები წარმატებას აღწევენ აბრეშუმის ჭიის გამოკვებაში და ზრდიან პარკის მოსავლიანობას.



ნ. ბარაბაძე.



ი. ბახსოლიანი.



ნ. ბერძენიშვილი.

ნ. ბერძენიშვილმა შარშან 160 გრამი მურიდან მიიღო და სახელმწიფოს ჩააბარა 456 კილოგრამი პარკი და ამით დაწესებულ გეგმას 220 კილოგრამით გადააჭარბა. ლ. კომახიძის რგოლმა კი — 66 გრამიდან მიიღო 414 კილოგრამი პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 152 კილოგრამისა. ამ მაჩვენებლებისათვის ისინი 1958 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა კანდიდატებად ითვლებიან.

საკოლმეურნეო შრომის ცნობილი ნოვატორი ივდითი ბახსოლიანი თელავის რაიონის სოფელ კონდოლის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში მრავალი წელია მუშაობს მეაბრეშუმეობის რგოლის ხელმძღვანელად. თავდადებული შრომით კოლმეურნეთა სიყვარული დაიმსახურა. მისმა რგოლმა ქისტაურელ მეაბრეშუმეთა მეთოდის ფართოდ დანერგვით საგრძნობლად გაადიდა პარკის მოსავალი. შარშან 69 გრამ მურს ისე მოუარეს, რომ 354 კილოგრამი პარკი მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 275 კილოგრამისა.

ამ მოწინავე მეაბრეშუმეებს წესად აქვთ შემოღებული, რომ აბრეშუმის ჭიას იმდენი ფოთოლი მისცენ, რის შეჭმასაც იგი ფოთლის დაჭკნობამდე შეძლებს. ე. ი. ჭიას მუდამ აქვს საკვებად ახალი ფოთოლი. რაც უფრო ახალია ფოთოლი, მით უფრო ჩქარია ჭიის ზრდა-განვითარებაც.

როცა ჭია მეოთხე ასაკშია, მაშინ საკვებს აძლევენ ყლორტებით; ხოლო მეხუთე ასაკში—ყლორტებითა და ფოთლებიანი მოკლე ტოტებით. ფოთლიანი ტოტებით კვების დროს თაროებზე ტოტებს გარდი-გარდმო აწყობენ. ამ წესით საკვების მიცემას გარკვეული უპირატესობა აქვს, ყლორტებსა და ტოტებზე ფოთლები დიდხანს ინარჩუნებენ სიახლეს, რის შედეგად ჭია მიცემულ საკვებს მთლიანად იყენებს. ეს ხელს უწყობს ჭიების თანაბრად განვითარებას.

მთავარია ის, რომ მეცნიერების მიერ დადგენილი 35-38 დღის ნაცვლად აქ ჭიის გამოკვების ხანგრძლივობა 23-25 დღემდე დაიყვანეს და პარკის უხვი მოსავალი მიიღეს.

მრავლდება მეაბრეშუმეობაში მოწინავეთა რიგები. ჭიის გამოკვების ხანგრძლივობის შემცირებით პარკის უხვი მოსავალი მოჰყავთ მერგოლეურებს: ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში გ. ჩხარტიშვილს, ქუთაისის რაიონის სოფელ ოფშკვითის კოლმეურნეობაში — ვ. კეპულაძეს, მარნეულის რაიონის სოფელ ქაფანახჩში — ტეპი გუსეინ ყიზის, ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურის კოლმეურნეობაში — ვ. კვიცაშვილს, გეგეჭკორის რაიონის სოფელ იხვრის კოლმეურნეობაში — გ. წოწორიას და მრავალ სხვას.

სწრაფად იზრდება სოფლად წარჩინებულ ადამიანთა რიგები. ახლა მეაბრეშუმეები დაძაბულად მუშაობენ იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაადიდონ აბრეშუმის პარკის მოსავლიანობა, თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის დიადი მშენებლობის საქმეში.

**შ. ჭოჭუა.**

# აქტიური მონაწილეობა „ყაზახეთის მაგნიტკის" მშენებლობაში

## კომკავშირული საგზურით

საბჭოთა ახალგაზრდობამ არაერთგზის გვიჩვენა გმირობისა და შრომითი თავდადების შესანიშნავი მაგალითები საყოველთაო-სახალხო საქმედ მიჩნეულ მსხვილ სამშენებლო ობიექტებზე. ასეთ სამშენებლო ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება ყაზახეთის რესპუბლიკაში ყარაგანდის მსხვილი მეტალურგიული ქარხნისა და მისი სამთამადნო ბაზების მშენებლობა, რომელსაც ჩვენმა ხალხმა „ყაზახეთის მაგნიტკა" უწოდა.

ამ ინდუსტრიული გიგანტის მშენებლობაში მონაწილე ყაზახმა კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა კომკავშირის მე-40 წლისთავისათვის მზადების დღეებში ძვირფასი თაოსნობა გამოიჩინეს — ვალდებულება იკისრეს მეტალურგიული ქარხანა ვადაზე ადრე ჩააყენონ მოქმედ საწარმოთა მწყობრში. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებისათვის ყაზახეთის კომკავშირელებმა საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდებს მიმართეს მოწოდებით აქტიური მონაწილეობა მიიღონ ყარაგანდის მეტალურგიული გიგანტის საყოველთაო-სახალხო მშენებლობაში.

ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. კომკავშირის თბილისის რაიკომებში განუწყვეტლივ იღებენ ყარაგანდის მშენებლობაში მონაწილეობის მსურველთა განცხადებებს. ამ განცხადებათა ავტორები გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ ძალისა და ენერგიის დაუზოგავად იმუშავებენ ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთის ამ დიდ მშენებლობაზე.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მრანდავმა ა. კრიენკომ კომკავშირის ლენინის რაიკომს მიმართა განცხადებით, რომელშიც წერს: „დიდი სურვილი მაქვს დავეხმარო მოძმე ყაზახეთის რესპუბლიკის მშენებლებს ყარაგანდის მეტალურგიული საწარმოს ვადაზე ადრე აგებაში. გთხოვთ ამ ახალ მშენებლობაზე მიმავლინოთ კომკავშირული საგზურით. პირობას ვიძლევი, რომ მაღალ ნდობას თავდადებული შრომით გავამართლებ".

ასეთივე პატრიოტული განცხადებებით მიმართეს კომკავშირის რაიკომს ამავე ქარხნის ზეინკალმა ბ. ვლასოვმა და მუშა ტ. მოვსესიანმა, ზეინკალმა მ. სელიხოვმა, ე. მალოიანმა და სხვებმა.

ახალგაზრდა პატრიოტთა ბევრი განცხადებაა შემოსული კომკავშირის კიროვის რაიკომშიც. თბილისის ძაფსახვევი ფაბრიკის მოწინავე მუშა კომკავშირელი ოლღა ჯანგაევა თავის განცხადებაში წერს: „საბჭოთა ახალგაზრდებს ჩვევად გვექცა ვიმუშაოთ იქ, სადაც მეტი სიძნელეებია, სადაც თავდადებული შრომით უფრო მეტ სარგებლობას მოვუტანთ დედა-სამშობლოს. იმედია, უარს არ მეტყვით და გამგზავნით ყარაგანდის მშენებლობაზე, რათა ჩემი წვლილი შევიტანო ამ ახალი ინდუსტრიული ცენტრის — „ყაზახეთის მაგნიტკის" აგებაში".

## გულის კარნახით

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში ბევრი ახალგაზრდა მიდის განცხადებით კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტში. ახალგაზრდების სურვილია სამუშაოდ წავიდნენ ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე. მათ შორის ერთ-ერთმა პირველმა ითხოვა ყაზახეთში გაგზავნა ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს კომკავშირელმა ხარატმა ანატოლი რეკალომ. იგი თავის განცხადებაში წერს:

— ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში ყოველდღიურად იზრდება კომუნიზმის დიად მშენებლობათა ტემპი. სიხარულით შევიტყე, რომ ყარაგანდაში შენდება მეტალურგიული კომბინატი. გულით მინდა ჩავდგე ამ დიდი მეტალურგიული საწარმოს მშენებელთა რიგებში. გთხოვთ დააკმაყოფილოთ ჩემი სურვილი.

ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე წასვლის სურვილი გამოთქვეს აგრეთვე ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროს ელექტრიკოსმა დ. პალაგინმა, მედიცინის დამ ლეილა ტროფიმენკომ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა რაისა აკუდნევამ, მუშებმა მარგარიტა კოკოტოვამ, ვადიმ მატვეევმა და სხვებმა.

კომკავშირელმა მლესავმა ვასილ მარგიშვილმა ყარაგანდაში სამუშაოდ წასვლის შესახებ განცხადება გადასცა საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანს ო. წვერავას და დასძინა:

— ჩემი სურვილია შრომითი მონაწილეობა მივიღო კომუნიზმის მშენებლობის ამ უბანზე. კომკავშირულ სიტყვას გაძლევთ, რომ არ შევარცხვენ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობის სახელს, ყოველთვის მოწინავეთა რიგებში ვიქნები.

კომკავშირის რუსთავის საქალაქო კომიტეტში ყოველდღიურად იზრდება ყარაგანდის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობაზე სამუშაოდ წასვლის მსურველთა რიცხვი.

*ვ. ი. ლენინის დაბადების 88 წლისთავისათვის*

# ქართველი კომუნისტების მიმოწერა ვ. ი. ლენინთან

**ვ. ესაიაშვილი**

განსაკუთრებით საინტერესოა ვ. ი. ლენინთან მ. დავითაშვილის მიმოწერის დოკუმენტების ბედი. ამ თავდადებული ბოლშევიკის საშუალებით ლენინთან მიმოწერას აწარმოებდნენ თბილისელი ბოლშევიკები. მან არაერთი პარტიული მუშაკი გააცნო და დაუკავშირა ლენინს, იგი აწყობდა ლენინური დოკუმენტების გამოგზავნას საქართველოში, აქედან მიღებულს უგზავნიდა ლენინს. და მთელი ამ მიმოწერიდან, რომელიც ათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ერთი წერილის გამოვლინებაც არ მოხერხდა.

რა თქმა უნდა, ყველა წერილი, რომლებიც თვით მ. დავითაშვილთან ინახებოდა, დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან იგი დაიღუპა პირველ მსოფლიო ომში, პარიზის ახლოს (ვერდენთან), და იქვე იქნა დასაფლავებული. მაგრამ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილი ზოგი მისი წერილი შეიძლება სადმე იყოს შემონახული და ძიების შედეგად აღმოჩენილ იქნება.

ვ. ი. ლენინთან მ. დავითაშვილის ახლო ურთიერთობასა და მიმოწერაზე ჩვენ ახლა მაინც შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ მთელი რიგი ფაქტებისა და არაპირდაპირი დოკუმენტების საშუალებით.

უკვე პირველი წერილის დასაწყისში ვნახეთ, რომ მ. დავითაშვილის საშუალებით ვ. ი. ლენინთან მიმოწერა დაამყარა ი. ბ. სტალინმა. დ. სულიაშვილი, რომელიც მაშინ მ. დავითაშვილთან ერთად ლაიპციგში იმყოფებოდა და ბოლშევიკურ ჯგუფში შედიოდა, პირდაპირ აღნიშნავს ამას თავის მოგონებაში. ამას მოწმობს ის ფაქტიც, რომ ი. ბ. სტალინის მიერ 1904 წლის შემოდგომაზე მ. დავითაშვილისათვის გაგზავნილი ორი „წერილი ქუთაისიდან" აღმოჩნდა სწორედ ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას მიმოწერის არქივში. ცხადია, დავითაშვილი, უგზავნიდა რა ქართველი ბოლშევიკების წერილებს ვ. ი. ლენინს, თავის მხრივაც სწერდა მას.

ამასვე ადასტურებს თვით მ. დავითაშვილის რამდენიმე წერილი, რომლებიც მან საზღვარგარეთიდან საქართველოში გამოგზავნა.

მ. დავითაშვილმა ვ. ი. ლენინი პირადად გაიცნო 1908 წელს ჟენევაში. ამ პერიოდს განეკუთვნება მისი ჟენევიდან სურამში თავის ძმისათვის გამოგზავნილი ერთი წერილი, რომელშიც ასეთი მეტად საინტერესო ადგილია: „ეხლა ერთ გერმანულ წიგნაკსა ვთარგმნი ცნობილი კაუცკისას — რუსულზე. მინდა რუსული თარგმნისათვის წინასიტყვაობა ლენინს (ბოლშევიკების გამოჩენილი ბელადია — წაგეკითხება რამე იმისი) დავაწერინო და მოსკოვში გავგზავნო, იქ გამომცემლები ბევრია ისეთი, რომლებიც მარტო ლენინის წინასიტყვაობისათვის გამოსცემენ".

„წინასიტყვაობა მინდა ლენინს დავაწერინო", ცხადია, არ შეეძლო ეთქვა მ. დავითაშვილს, რომ მას ახლო ურთიერთობა არ ჰქონოდა ლენინთან.

ამ მოსაზრებას კიდევ უფრო განამტკიცებს მ. დავითაშვილის მეორე წერილი, რომელიც მან პარიზიდან 1914 წლის ივნისის დამლევს გამოუგზავნა მაშინ სამტრედიაში მყოფ მ. ტოროშელიძეს. მ. დავითაშვილი სწერდა: „ნადიას (ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია — ვ. ე.) მივწერე შენი დავალებაც სერგოს შესახებ, შენი წინადადებაც ჩემ შუამავლობის შესახებ და საზოგადოთ შენი წერილის შინაარსიც". ამავე წერილში არის კიდევ უფრო საინტერესო სტრიქონები: „მალაქია, პირველი წერილი უკვე დაწერილი მქონდა, რომ მომივიდა ნადიას წერილი და ეს დოკუმენტი, რომელსაც გიგზავნი (ლადიკოს დაწერილია)". ლადიკო ეს ლენინია, ხოლო აღნიშნული დოკუმენტი — ლენინის მიერ დაწერილი „პროექტი კანონისა ერთა თანასწორუფლებიანობისა და ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვის შესახებ", რაც განზრახული იყო სახელმწიფო სათათბიროში განსახილველად შეეტანათ, მაგრამ არ მოხერხდა. ეს შესანიშნავი ლენინური დოკუმენტი, როგორც დავინახეთ, ნ. კ. კრუპსკაიამ მ. დავითაშვილს გამოუგზავნა, ამ უკანასკნელმა კი თავის წერილთან ერთად მ. ტოროშელიძეს გადმოუგზავნა. ახლა ის მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში ინახება. ლენინის მიერ დაწერილი დოკუმენტი მაშინ არ გამოქვეყნებულა, პირველად დაიბეჭდა მხოლოდ 1924 წელს. თვითონ ვ. ი. ლენინი ამ დოკუმენტს ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი დაწერა ჰქონდა განზრახული, ს. შაუმიანისათვის გაგზავნილ წერილში ასე აფასებდა: „ამ გზით შეიძლება პოპულარულად განვმარტოთ კულტურულ-ეროვნული ავტონომიის სისულელე და საბოლოოდ მ ო ვ კ ლ ა თ ამ სისულელის მომხრეები". თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროს საქართველოში ცხარე კამათი სწარმოებდა კულტურულ-ეროვნული ავტონომიის საკითხზე, ნათელი გახდება, რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა ლენინის დოკუმენტის მიღებას საქართველოს ბოლშევიკებისათვის.

ამავე საკითხს ნათელს ჰფენს წერილის ბოლო ნაწილიც, სადაც ნათქვამია: „ფილიპეს ადრესი მქონია, ალბათ შენ თუ გამომიგზავნე...

კარგი იქნება ლადოსთან პირდაპირი მიწერმოწერა დავაჭერინოთ. მაგის პოზიციას ილიჩი აუცილებლად უნდა გაეცნოს, რაც შეიძლება დაწვრილებით". კიდევ ერთი ადგილი ამ წერილიდან, რომელიც ისევ და ისევ იმაზე მიუთითებს, თუ რა ახლო ურთიერთობა და ხშირი მიმოწერა ჰქონდა მ. დავითაშვილს ვ. ი. ლენინთან. მ. დავითაშვილი სწერდა მ. ტოროშელიძეს: „ნადიას პირით ლადიკო თხოულობს პასუხს შემდეგ კითხვებზე: (გთხოვთ შეაგროვოთ ზუსტი მონაცემები) 1) დრო და სიხშირე სოც-დ-ულ გაზეთების გამოსვლისა ქართულზე, სომხურზე და სხვა ენებზე კავკასიაში (ამა და ამ რიცხვიდან და წლიდან ამა და ამ რიცხვამდის და წლამდის). ამდენი და ამდენი №№ ლიკვიდატორებისა და ჩვენი.

2) ყველა იმათი ტირაჟი;

3) რიცხვი მუშათა წრეებისა, რომელთაც დახმარება გაუღიათ და სხვა მონაცემები. ძალიან გთხოვთ ეს რაც შეიძლება ჩქარა აასრულოთ".

ეს სტრიქონები არა მარტო იმას გვიჩვენებენ, რომ მ. დავითაშვილი წერილებს იღებდა ლენინისაგან, არამედ იმასაც, თუ რა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დიდი ბელადი საქართველოს ბოლშევიკურ ორგანიზაციებთან და რა დაუცხრომელი ინტერესით ადევნებდა თვალს აქ მიმდინარე მოვლენებს.

* * *

ვ. ი. ლენინთან მიმოწერა ჰქონდა სახელოვან ბოლშევიკსა და პროფესიონალ რევოლუციონერს სამუელ გრიგოლის-ძე ბუაჩიძეს, რომელიც პარტიულ ლიტერატურაში ცნობილია ნოეს სახელით.

ვ. ი. ლენინს ნ. ბუაჩიძე პირადად გაეცნო ჟენევაში, სადაც იგი ჩავიდა 1914 წლის დამლევს და მ. ცხაკაიასთან და ნ. კიკნაძესთან ერთად შედიოდა ჟენევის ბოლშევიკურ ჯგუფში. აქ ნოე ასრულებდა ლენინის პირდაპირ დავალებებს. კავშირი ჰქონდა ჟენეველ მუშებთან, შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებთან. ნოე ამავე დროს ხშირად უგზავნიდა ვ. ი. ლენინს მასალებსა და სხვადასხვა ცნობებს საქართველოში პარტიული ცხოვრების შესახებ. ნოეს ვ. ი. ლენინთან მიმოწერა ჰქონდა როგორც ჟენევაში ყოფნისას, ისე გვიან, 1917-1918 წლებში, როცა ის თერგის მხარეში ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა მუშაობას ეწეოდა. მაგრამ ამ დროის მთელი მიმოწერა დაიკარგა, ჟენევის პერიოდის მიმოწერიდან კი მხოლოდ ორი წერილია აღმოჩენილი.

ჟენევაში ყოფნისას ვ. ი. ლენინთან ნ. ბუაჩიძის სიახლოვისა და ხშირი მიმოწერის შესახებ არსებობს პირდაპირი დოკუმენტები:

ნ. კიკნაძე თავის, ჩვენს მიერ უკვე განხილულ წერილში 1916 წლის 10 იანვარს ვ. ი. ლენინს აცნობებდა:

„ამხ. ნოე გწერთ თქვენ კავკასიიდან სასიხარულო ცნობების შესახებ".

1916 წლის ოქტომბერში ვ. ი. ლენინი ნ. კიკნაძეს სწერდა: „მე მეგონა, რომ თქვენ წახვედით და ამიტომ წერილი შვეიცარიის საქმეებზე მარტო ნოეს გამოვუგზავნე. მაგრამ წერილი თ ქ ვ ე ნ თ ვ ი ს ა ც ა რ ი ს გ ა ნ კ უ თ ვ ნ ი ლ ი. წ ა ი კ ი თ ხ ე თ. ნოე კრინტსაც არა სძრავს, რომ მიპასუხოს. უცნაურია! მეტად უცნაურია"!

1916 წლის დეკემბრის დამდეგს ვ. ი. ლენინმა დაწერა „თეზისები შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამოკიდებულების შესახებ ომისადმი". თეზისები დაიწერა შვეიცარიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატებისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დროს მზადდებოდა შვეიცარიის ს.-დ. პარტიის საგანგებო ყრილობა, რომელსაც უნდა განეხილა მიმდინარე ომისადმი დამოკიდებულების საკითხი.

ვ. ი. ლენინს ეს თეზისები გაუგზავნია ფრანგი სოციალისტის ანრი გილბოსათვის, იმ ვარაუდით, რომ შემდეგ იგი კარპინსკისათვის გადაეცა, კარპინსკის კი ვ. ი. ლენინი 1916 წლის 20 დეკემბერს სწერდა: ეს თეზისები „გადაეცით სტეპკოსა და ნოესაც".

1915 წლის 4 ოქტომბერს ქ. ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების კონფერენცია, რომელმაც სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად განიხილა მიმდინარე მომენტის საკითხი და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ლენინურ დოკუმენტებზე დაყრდნობით იყო გაშუქებული ომისადმი დამოკიდებულება და ბოლშევიკების ამოცანები მიმდინარე ომში. ამიერკავკასიის ბოლშევიკებმა გამოუშვეს მანიფესტი, რომლითაც დაგმეს მიმდინარე ომი, როგორც ანტიხალხური, და მოუწოდეს ყველა ეროვნების მშრომელებს ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

ვ. ი. ლენინს გაუგია ამიერკავკასიის ბოლშევიკების ამ კონფერენციის ჩატარების შესახებ და, პრესაში გამოსაქვეყნებლად ამაზე დაწვრილებითი ცნობები რომ მიეღო, მიუმართავს ნოე ბუაჩიძისა და, როგორც ზემოთ დავინახეთ, ნიკო კიკნაძისთვისაც.

ნოე ბუაჩიძის ახლახან აღმოჩენილი ერთი წერილი, დაწერილი 1916 წლის 19 იანვარს, წარმოადგენს პასუხს ლენინის წერილზე, რომელშიც ბელადს უთხოვია ბუაჩიძისათვის მიეწოდებინა მისთვის ცნობები აღნიშნული კონფერენციის შესახებ და აღნიშნა, რა შეიძლებოდა ამის თაობაზე გამოქვეყნებულიყო პრესაში.

ნ. ბუაჩიძე ამასთან დაკავშირებით ნ. კრუპსკაიას საშუალებით ატყობინებდა ვ. ი. ლენინს.

„ძვირფასო ამხ., კავკასიის შესახებ ცნობების დოკუმენტებით დადასტურებისათვის მე გადავსინჯე კავკასიის გაზეთები და მათში ვერ ვნახე პირდაპირი მითითება ჩვენს კავკასიის კონფერენციაზე. შემდეგშიც მივიღებ ზომებს ამ მიმართულებით. ცნობებს ველოდები საფრანგეთიდან, და როცა ყველაფერს შევკრებ, გამოგიგზავნით დამახასიათებელი ადგილების თარგმანს. მაშინ გაცნობებთ აგრეთვე, სახელდობრ რა შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ცნობებიდან ჩვენი პრესისათვის".

ვ. ი. ლენინისათვის ნოეს მიერ გაგზავნილი მეორე წერილი ეხება მის მიერ სამუშაოს ძებნას და იმაზე მიუთითებს, რომ ის მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა.

აი ის, რაც ჯერჯერობით შეიძლება ითქვას ნ. ბუაჩიძის წერილების შესახებ.

* * *

ამავე პერიოდში ჟენევაში ყოფნისას ვ. ი. ლენინთან მიმოწერა ჰქონდა მელიტონ ფილიას. მ. ფილია ბოლშევიკური პარტიის წევრი იყო 1905 წლიდან. 1908 წელს აქტიური რევოლუციური მუშაობისათვის იგი დააპატიმრეს და 1909 წელს კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლომ მას კატორღა მიუსაჯა. ფილია სასამართლო დარბაზიდან გაიქცა, ერთ წელიწადს თბილისში იმალებოდა, ხოლო 1910 წელს გაემგზავრა საზღვარგარეთ — ჟენევაში. ამავე წლის შემოდგომაზე იგი წავიდა პარიზში და იქ პირადად გაეცნო ვ. ი. ლენინს.

1925 წლის 14 სექტემბერს, რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეტანილ განცხადებაში, მ. ფილია წერდა: „1910 წ. შემოდგომაზე კავკასიელი ამხანაგების დავალებით წავედი პარიზში ამხ. ლენინის სანახავად (ამხ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს ემახსოვრება ეს შეხვედრა).

მსოფლიო ომის დროს ამხ. ლენინს კავკასიელ ამხანაგებთან კავშირი ჰქონდა მიხა ცხაკაიასა და ჩემი მეშვეობით. იგზავნებოდა წერილები და ლიტერატურა (ამის დადასტურება შეუძლიათ ამხ. ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს და ამხ. მიხა ცხაკაიას)".

ამ სტრიქონების სიმართლეს მრავალი დოკუმენტი ადასტურებს. ფაქტია, რომ მ. ფილიას მიმოწერა ჰქონდა ვ. ი. ლენინთან, მაგრამ ამ მიმოწერის არც ერთი დოკუმენტი ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

* * *

ვ. ი. ლენინს კარგად იცნობდა და მასთან მიმოწერა ჰქონდა მ. ტოროშელიძეს.

მ. ტოროშელიძე ვ. ი. ლენინს გაეცნო 1904 წელს ჟენევაში ს. შაუმიანის საშუალებით. ამ წელს მ. ტოროშელიძემ ორჯერ მოისმინა ვ. ი. ლენინის მოხსენება — ერთი ჟენევაში და მეორე პარიზში. 1909-1910 წლებში ჟენევაში მ. ტოროშელიძე ხვდებოდა ვ. ი. ლენინსა და ნ. კ. კრუპსკაიას, ისინი ხშირად დადიოდნენ ტოროშელიძის ბინაზე, სადაც, როგორც კონსპირაციულად უფრო მოხერხებულ ადგილზე, ლენინს არაერთხელ გაუმართავს პარტიული ამხანაგების თათბირი.

მ. ტოროშელიძე ერთ-ერთ ოფიციალურ წერილობით განცხადებაში ამის შესახებ წერდა: „მქონდა რა კავშირი ლენინთან და ვმონაწილეობდი მის წრეებში (მან ჩვენ წაგვიკითხა რამდენიმე მოხსენება), მე ყოველთვის ვიბრძოდი როგორც ოტზოვიზმის, ისე ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ"... და შემდეგ: „მე ყოველნაირად ვცდილობდი კავშირი დამეჭირა ცენტრთანაც ნადეჟდა კონსტანტინეს ასულის სახით, რომელსაც მე ვაწვდიდი ცნობებს... და რომლისგანაც ვიღებდი სახელმძღვანელო მითითებებს".

არსებობს ნ. კ. კრუპსკაიასათვის მ. ტოროშელიძის მიერ 1909 წელს გაგზავნილი ორი წერილი, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ ჟენევაში ყოფნისას მ. ტოროშელიძეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბაქოელ და თბილისელ ბოლშევიკებთან და ამ უკანასკნელთ ტოროშელიძის მეშვეობით კავშირი ჰქონიათ საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ცენტრთან, ვ. ი. ლენინთან.

პირველ წერილში, რომელიც 1909 წლის 4 ოქტომბერს არის დაწერილი, მ. ტოროშელიძე სწერდა კრუპსკაიას:

„ბაქოელი ამხანაგებისაგან „ბაკინსკი პროლეტარიდან" ამონაწერებთან ერთად, რომლებსაც გიგზავნით, მივიღე შემდეგი შინაარსის წერილი". შემდეგ გადმოცემულია ამ წერილის შინაარსი და, ბოლოს, მ. ტოროშელიძე მიმართავს კრუპსკაიას: „იმედია, მიიღებთ ზომებს, რათა შეასრულოთ ბაქოელების თხოვნა, და გაუგზავნით მათ მისამართებს. უკიდურეს შემთხვევაში, გადმომიგზავნეთ ისინი მე და როგორმე გადავუგზავნი ბაქოს ორგანიზაციაში".

მ. ტოროშელიძის მეორე წერილი ეხება თბილისის ამბებს.

ეს წერილი საინტერესოა იმით, რომ იგი წარმოგვიდგენს 1910 წელს თბილისში სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არსებულ სურათს. აი ამ წერილის უმთავრესი ადგილები:

„დიდად პატივცემულო ამხანაგო!

მივიღე წერილი თბილისელებისაგან. მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის განხეთქილება, ლეგალური ორგანიზაციების დაპყრობის ნიადაგზე, ძალიან მწვავე ხასიათს იღებს. ბოლშევიკები ამისათვის უფრო მომზადებულნი აღმოჩნდნენ... მაგრამ მენშევიკებს აქვთ ლეგალური გაზეთი (ყოველდღიური) და ეს ხელსაყრელად განასხვავებს მათ ბოლშევიკებისაგან.

(დასასრული მე-4 გვერდზე)

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 87, 88.

## მოსკოვიდან გაემგზავრა ბელგიის დედოფალი ელისაბედი

საბჭოთა კავშირში სამი კვირის [illegible] 15 აპრილს მოსკოვიდან [illegible] ბელგიის დედოფალი ელისაბედი [illegible] (საკდესი).

## ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ბერლინი, 14 აპრილი. (საკდესი). გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით დღეს ბერლინში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი.

## ხელი მოაწერეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის გრძელვადიან შეთანხმებას საქონელბრუნვის შესახებ

ფხენიანი, 14 აპრილი. (საკდესი). ფხენიანში ხელი მოაწერეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის შეთანხმებას 1958-1961 წლებში საქონელბრუნვისა და გადასახდელების შესახებ. ამავე დროს ხელმოწერილია ოქმი 1958 წელს საქონლის ურთიერთმიწოდების შესახებ.

შეთანხმების საფუძველზე კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ჩეხოსლოვაკიას მიაწვდის სხვადასხვა ფერად ლითონსა და კვების პროდუქტებს. ჩეხოსლოვაკია კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიტანს მოწყობილობას ელექტროსადგურებისათვის, საგლინავ მოწყობილობას, სხვადასხვა მანქანას.

## დაიხურა ინდოეთის კომუნისტური პარტიის ყრილობა

დელი, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ ამრიტსარში მუშაობა დაამთავრა ინდოეთის კომუნისტური პარტიის მე-5 საგანგებო ყრილობამ, რომელმაც 8 დღეს გასტანა.

ამრიტსარიდან მიღებული ცნობებით, ყრილობის საბოლოო სხდომაზე აირჩიეს პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — ეროვნული საბჭო 101 კაცის შემადგენლობით და ცენტრალური საკონტროლო კომისია.

ინდოეთის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად კვლავ არჩეულია აჯოი გჰოში.

არჩეულია აგრეთვე პარტიის ცენტრალური აღმასკომი 25 კაცის შემადგენლობით და ცენტრალური სამდივნო.

გუშინ ამრიტსარში ინდოეთის კომუნისტური პარტიის ყრილობის მუშაობის დამთავრების აღსანიშნავად გაიმართა ხალხმრავალი დემონსტრაციები, აგრეთვე გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც დაახლოებით 200 ათასი კაცი დაესწრო.

## დაიხურა სრულიად ჩინეთის ახალგაზრდობის ყრილობა

პეკინი, 14 აპრილი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა სრულიად ჩინეთის ახალგაზრდობის მესამე ყრილობამ.

საბოლოო სხდომაზე დელეგატებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია სრულიად ჩინეთის დემოკრატიული ახალგაზრდობის ფედერაციის ეროვნული კომიტეტის საანგარიშო მოხსენების გამო.

ყრილობა, ნათქვამია რეზოლუციაში, მოუწოდებს სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ახალგაზრდობას ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით განამტკიცოს ახალგაზრდობის ერთობა, აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის იდეოლოგიურ ხელახლა აღზრდაში, ბეჯითად შეისწავლოს პოლიტიკა, დაეუფლოს კულტურულ და ტექნიკურ ცოდნას, თავისი წვლილი შეიტანოს სამშობლოს სოციალისტურ მშენებლობაში.

ყრილობის დელეგატებმა მოიწონეს აგრეთვე ფედერაციის წესდებაში შეტანილი ცვლილებანი და შესწორებანი. ყრილობაზე შეიქმნა ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანო — ეროვნული კომიტეტი. ფედერაციის თავმჯდომარედ დაინიშნა ლი სი-იუანი.

## მუნიციპალური არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 14 აპრილი. (საკდესი). პირველი შედეგები ინგლისის საგრაფოების საბჭოების არჩევნებისა, რომლებიც ამ დღეებში დაიწყო, მოწმობენ კონსერვატიული პარტიის დამარცხებას.

გამოცხადდა საგრაფოთა 62 საბჭოდან 43 საბჭოს არჩევნების შედეგები. ლეიბორისტული პარტიის ლონდონის შტაბბინის ცნობებით, ლეიბორისტულმა პარტიამ შეიძინა 171 ადგილი და დაკარგა 25 ადგილი. კონსერვატიული პარტიის ცენტრალური საბჭო საგრაფოთა 30 საბჭოს ნაკრებ ცნობაში იუწყებოდა, რომ კონსერვატორებმა შეიძინეს 17 ადგილი და დაკარგეს 82 ადგილი.

## საკდესის ცნობა

### იმის შესახებ, რომ დედამიწის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა არსებობა შეწყვიტა

დედამიწის მეორე საბჭოთა ხელოვნური თანამგზავრი, რომელიც 1957 წლის 3 ნოემბერს გაუშვეს [illegible] 14 აპრილს [illegible]

[illegible] ორბიტის პარამეტრებს (აპოგეის სიმაღლეს, ბრუნვის პერიოდს და სხვ.).

აღნიშნულ ცვლილებათა მიმდინარეობაზე დაკვირვებამ, თანამგზავრის მოძრაობის პარამეტრთა გაზომვის დიდი მასალის მეცნიერულმა დამუშავებამ საშუალება მოგვცა მიგვეღო ახალი ძვირფასი ცნობები ატმოსფეროს ზედა ფენების სიმკვრივის შესახებ.

მეორე თანამგზავრის საშუალებით რეალიზებულ იქნა სპეციალურ მეცნიერულ განზომილებათა დიდი პროგრამა, რომელთა მიზანი იყო დედამიწის იონოსფეროს შესწავლა, კოსმოსის სხივების, რადიოტალღების გავრცელების განზომილებათა პროგრამა და პირველად გადაიჭრა ზოგიერთი სხვა გეოფიზიკური ამოცანა.

[illegible] თანამგზავრმა დაახლოებით 2.370-ჯერ შემოუარა დედამიწას, გაიარა რა 100 მილიონზე მეტი კილომეტრი.

მან მრავალგზის გადაუფრინა ჩვენი პლანეტის ყველა ძირითად დასახლებულ პუნქტს, რაც უზრუნველყოფილი იყო ორბიტის დახრის დიდი კუთხით, რომელიც უდრიდა 65 გრადუსს დედამიწის ეკვატორის სიბრტყისადმი.

საბჭოთა თანამგზავრის ორბიტის მიღებულმა დახრამ უზრუნველყო ის, რომ მისი მოძრაობის დაკვირვება შესაძლებელი იყო დედამიწის მთელ დასახლებულ ნაწილში. თანამგზავრის დიდი ზომა საშუალებას აძლევდა დედამიწის მთელ მოსახლეობას დაენახა იგი შეუიარაღებელი თვალით.

## „საბჭოთა ხალხს სურს ყველა ხალხთან მშვიდობით იცხოვროს"

### ფინეთის გემთმშენებელთა დელეგაციის პრეს-კონფერენცია თბილისში

მეოთხე დღეა საქართველოში სტუმრად არის ფინელ გემთმშენებელთა დელეგაცია. მოგზაურობენ რა საბჭოთა კავშირში, ისინი უკვე იყვნენ ლენინგრადში, მოსკოვში.

თბილისში 14 აპრილს გაიმართა დელეგაციის პრეს-კონფერენცია.

— ჩვენ ძალიან მოხარული ვართ, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოვედით, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა ხიეტალახტის გემთსაშენის მუშათა მთავარმა ნდობით აღჭურვილმა პირმა აარნე ლანკინენმა. — ჩვენ ყველგან გვხვდებიან დიდი სტუმართმოყვარეობით, როგორც ღვიძლ ძმებს.

ვმოგზაურობთ რა საბჭოთა ქვეყანაში, დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხს, რომელიც შემოქმედებითს შრომას ეწევა, სურს ყველა ხალხთან მშვიდობით იცხოვროს. ყველგან, სადაც მოგვიხდა ყოფნა, ვნახეთ დიდი მშენებლობა. აგებენ საცხოვრებელ სახლებს, საწარმოებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა შენობებს. საქართველოში ვნახეთ მშვენიერი ქალაქი რუსთავი, რომელიც გაუშენებიათ ველზე. საბჭოთა ადამიანები ბედნიერად, შეძლებულად ცხოვრობენ.

ქალაქ რაუმის გემთსაშენ „რაუმა რეპოლის" ზეინკალმა იურიე კუუსიომ აღნიშნა, რომ აღფრთოვანებულია საქართველოს მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მაღალი კულტურით, ქართველი ხალხის ხელოვნებით. განსაკუთრებით აღტაცებულია ქალაქ რუსთავის მეტალურგიული ქარხნით.

— მე ძალიან მაინტერესებდა ქალების მდგომარეობა საბჭოთა კავშირში, — თქვა ხიეტალახტის გემთსაშენის მუშამ ლიზა ტილლმა, — და ბევრი რამ ახალი შევიტყე. შეიძლება კაცს შეშურდეს საბჭოთა ქალების ბედი. მათთვის და მათი ბავშვებისათვის დიდ მზრუნველობას იჩენენ. ქალებს საბჭოთა კავშირში მამაკაცების თანაბარი ხელფასი ეძლევათ თავიანთ შრომაში. ჩვენ ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება გვიხდება ამაზე.

ქალაქ ტურკუს გემთსაშენ „კრეიტონ ვულკანის" შემდუღებელმა უუნო პერალიამ აღნიშნა, რომ ადამიანისათვის ზრუნვა ყველაზე მთავარია საბჭოთა კავშირში.

შემდეგ უუნო პერალია ამბობს, რომ მან ყურადღება მიაქცია საბინაო მშენებლობის დიდ გაქანებას საბჭოთა კავშირში.

ლენინგრადში ატომური ყინულმჭრელის დათვალიერებისას მიღებული შთაბეჭდილებანი გაუზიარა დამსწრეთ ხიეტალახტის კონცერნ „ვიარტსილიას" ერთ-ერთი გემთსაშენის გემის ამწყობმა აატოე პიაუსიამ. — ყინულმჭრელი, — თქვა მან, — მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების განსახიერებაა.

— ყველგან საბჭოთა კავშირში, — განაცხადა გემის ამწყობმა ტაუნო სირნელიამ, რომელიც ქალაქ რაუმას გემთსაშენ „რაუმა-რეპოლში" მუშაობს, — ჩვენ ვხვდებოდით კარგ, გულწრფელ მეგობრებს.

დასასრულ დელეგაციის წევრებმა გულითადი მადლობა გადაიხადეს გულთბილი მიღებისათვის, რომელიც მათ საქართველოში გაუწიეს, კმაყოფილება გამოთქვეს, რომ შესაძლებლობა მიეცათ გასცნობოდნენ ზღვისპირა ქალაქებს ბათუმსა და სოხუმს. მათ განაცხადეს, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დაწვრილებით უამბობენ ყველაფერს, რაც საბჭოთა კავშირში ნახეს. (საქდესი).



ბელგია. [illegible]

## საქართველოს ექსპონატები ბრიუსელის გამოფენაზე

როგორც ცნობილია, ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში 17 აპრილს იხსნება საერთაშორისო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. გამოფენაზე მდიდრად იქნება წარმოდგენილი სსრ კავშირის ექსპონატები. საბჭოთა კავშირის პავილიონში მოძმე რესპუბლიკების საწარმოთა პროდუქციასთან ერთად გამოფენილი იქნება აგრეთვე საქართველოს საწარმოთა ექსპონატები.

საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით წარმოდგენილია ჩაის საკრეფი თვითმავალი მანქანა. საქართველოს ჩაის ტრესტმა გაგზავნა ქართული ჩაის ნიმუშები — „საქართველოს თაიგული", „ექსტრა", უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხის ჩაი, აგრეთვე შავი აგურა ჩაი.

ბრიუსელის გამოფენაზე მნახველები გაეცნობიან ქართულ ღვინოებს, კონიაკებს და ლიქიორებს. სამარკო ღვინოებიდან — „წინანდალს", „თელიანს", „მუკუზანს", „გურჯაანს", „ტიბაანს", შემაგრებული ტკბილი ღვინოებიდან — „კარდანახს" და „ანაგას", ქართულ კონიაკებს — „ძალიან ძველს", „ძველს", „ენისელს", „ვარციხეს", ლიქიორებს — „კოლხიდას" და „ნუშს".

გამოფენის ქართულ ექსპონატებს შორის აღსანიშნავია საქართველოს მინერალური წყლები „ბორჯომი", „საირმე", „ძაუ-სუარი".

საქკონსერვტრესტმა გამოფენაზე გაგზავნა თავისი პროდუქცია — მაღალხარისხოვანი ქართული კონსერვები — მსხლისა და ტყემლის კომპოტები, ჯემი, ლეღვის მურაბა, ციტრუსების წვენი და სხვ. მსოფლიო ქართულ თამბაქოს გაეცნობა „საქართველოთი" და „რეკორდით".

გამოფენაზე იქნება საქართველოს [illegible] „მხატვრის" ნაწარმი — ქართული ლამაზი მხატვრული სუვენირები. უკვე გაიგზავნა ოქრომკედით ნაკერი ნაწარმი, ქართული ოქრომჭედლობისა და ხეზე კვეთილობის ნიმუშები—ვერცხლით მოჭედილი სალამური, ვერცხლით მოჭედილი და მოხევადებული ყანწები, ახალციხური ფილიგრანით შესრულებული ვერცხლის სამაჯურები, აჟურული გულსაბნევები და სხვ.

ქართული სამარკო ღვინოები „წინანდალი", „თელიანი", „გურჯაანი" „მუკუზანი", „საფერავი", „ცოლიკაური", „ტიბაანი", ნახევრად ტკბილი ღვინოები „ჩხავერი", „ტვიში", „ხვანჭკარა", „თეთრა", სამარკო და ორდინარული ქართული კონიაკები დიდი რაოდენობით გაიგზავნა აგრეთვე რესტორან „როსიასათვის", რომელიც გამოფენის დღეებში იმუშავებს საბჭოთა კავშირის პავილიონის ტერიტორიაზე.

## სსრ კავშირის პირველობაზე

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე საკავშირო პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა" და ლენინგრადის „ზენიტის" გუნდები. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა 2:1.

• • •

კიშინიოვი. 15 აპრილი. სსრ კავშირის გასული წლის ჩემპიონი ფეხბურთში მოსკოვის „დინამო" კიშინიოვში შეხვდა ადგილობრივ „მოლდოვას". მატჩის შედეგია 2:0 „დინამოს" სასარგებლოდ.

სტალინო. 15 აპრილი. მატჩი სტალინოში „შახტიორისა" და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდებს შორის დამთავრდა ფრედ 1:1.

კიევი. 15 აპრილი. სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბისა და კიევის „დინამოს" გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

ოდესა. 15 აპრილი. ლენინგრადის „ადმირალტეეცისა" და მოსკოვის „ლოკომოტივის" გუნდების შეჯიბრება გაიმართა ოდესაში. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა „ლოკომოტივის" გამარჯვებით 2:1.

## საკავშირო ჩემპიონატი ძალოსნობაში

სტალინოში რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ძალოსნობაში, რომელშიც მონაწილეობას იღებს 150 უძლიერესი შტანგისტი.

მჩატე წონაში სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება და ოქროს მედალი მოიპოვა ს. ულიანოვმა (ალმა-ატა), რომელმაც სამჭიდში დააგროვა 332,5 კილოგრამი. მსოფლიო ჩემპიონი ვ. სტოგოვი მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა. ქვემსუბუქ წონაში უძლიერესი იყო მსოფლიოს ჩემპიონი ე. მინაევი (მოსკოვი). სამჭიდში მისი შედეგია 355 კილოგრამი. მეორე ადგილი დაიკავა რ. ჩიმიშკიანმა (თბილისი).

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება მსუბუქი წონის შტანგისტთა შორის. გაიმარჯვა ვ. ბუშუევმა (გორკი). მისი შედეგი სამჭიდში — 387,5 კილოგრამი — ახალი რეკორდია. ქვესაშუალო წონაში ჩემპიონის წოდება მოიპოვა ფ. ბოგდანოვსკიმ (ლენინგრადი, 417,5 კილოგრამი). ფ. ბოგდანოვსკიმ აკვრაში ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი (166 კილოგრამი) დაამყარა.

## მატჩ-რევანში

გუშინ მოსკოვში გაიმართა მსოფლიო პირველობაზე ვ. სმისლოვისა და მ. ბოტვინიკის საჭადრაკო მატჩ-რევანშის მე-16 პარტია. საინტერესო ბრძოლის შემდეგ 37-ე სვლაზე მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

## საერთაშორისო შეხვედრა კრივში

გუშინ თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება კრივში ირანისა და საქართველოს გუნდებს შორის.

სულ რინგზე გამოვიდა მოკრივეთა ცხრა წყვილი. ყველა შეხვედრა ხასიათდებოდა შეუპოვარი და საინტერესო სპორტული ბრძოლით. 9 შეხვედრიდან საქართველოს მოკრივეებმა მოიგეს 5 და წააგეს 4.

## შ ე ს წ ო რ ე ბ ა

ჩვენი გაზეთის გუშინდელი ნომრის მეორე გვერდზე წერილში „ქართველი კომუნისტების მიმოწერა ვ. ი. ლენინთან" მე-6 სვეტში ზევიდან მე-2 აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით".

# ქართველი კომუნისტების მიმოწერა ვ. ი. ლენინთან

(დასასრული)

ბოლშევიკებმა ახლა გადაწყვიტეს იანვრიდან გამოსცენ საკუთარი ორგანო ქართულ ენაზე. ორგანო იქნება ყოველკვირეული, გაზეთის პროგრამით, მაგრამ უფრო ვრცელი, 16-დან 32 გვერდამდე. შეუძლიათ მოათავსონ ცოტად თუ ბევრად საფუძვლიანი სტატიები, რომლებიც ამა თუ იმ საკითხს გააშუქებენ.

მონაწილეობას მიიღებენ ბოლშევიკების ყველა ძალები ქართველები, სომხები, რუსები. თანამშრომლები და კორესპონდენტები ჰყავთ რუსეთის სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, პიტერში. მე მთხოვენ გადავცე მათი დაბეჯითებითი თხოვნა ვლადიმერ ილიას-ძეს იმის შესახებ, რომ მან რაც შეიძლება ახლო ხანში გაუგზავნოს მათ სტატია, რომელ საკითხზეც უნდა იყოს და შემდეგშიც უგზავნოს სტატიები. იმედია, რა მოუცლელიც უნდა იყოს, ვლადიმერ ილიას-ძე უარს არ ეტყვის მათ ამ თხოვნაზე. მოცემულ სიტუაციაში ამ ორგანოს დაყენებაზე დამოკიდებულია ბოლშევიკების ბედი..."

შემდეგ ტოროშელიძეს ბრჭყალებში მოჰყავს თბილისელების წერილის ასეთი ადგილი: „ზოგიერთებს (რედაქციიდან) სურთ მიმართონ პლეხანოვს (ეკონომიური საკითხები), ლუნაჩარსკის (ლიტერატურული კრიტიკა), გორკის, რათა გადმოგვიგზავნოს თავისი ახალი მოთხრობები ქართულ ენაზე გადახათარგმნად.

იმედია მალე მივიღებთ თქვენს პასუხს".

• • •

ვ. ი. ლენინთან უფრო გვიან მიმოწერა ჰქონდა ფილიპე მახარაძეს. ფ. მახარაძემ ვ. ი. ლენინი პირველად ნახა 1917 წლის აპრილში ჩვენი პარტიის VII კონფერენციაზე, ხოლო პირადი შეხვედრა და საუბარი ჰქონდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინადღეებში — 1921 წლის 17 თებერვალს.

ამჟამად ჩვენ ხელთა გვაქვს ფ. მახარაძის მიერ ვ. ი. ლენინისათვის გაგზავნილი 4 წერილი, რომელთაგან სამი უკანასკნელ დრომდე უცნობი იყო, ხოლო ერთი — გამოუქვეყნებელი.

პირველი წერილი ფ. მახარაძეს ვ. ი. ლენინისათვის მიუწერია, როგორც ირკვევა, დაახლოებით 1920 წლის გაზაფხულზე. ეს არის „მოხსენებითი ბარათი", რომელშიც აღწერილია საქართველოში რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური პარტიის მდგომარეობა თებერვლის რევოლუციიდან მოყოლებული 1920 წლამდე.

„ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, — სწერდა ფ. მახარაძე ვ. ი. ლენინს, — რაც შეიძლება მოკლედ გავაშუქო თქვენს წინაშე საქმეთა მდგომარეობა საქართველოში".

ფ. მახარაძის ეს „მოხსენებითი ბარათი" ვ. ი. ლენინისადმი მეტად საინტერესო დოკუმენტია. მასში, სხვათა შორის, ახსნილია ის ფაქტი, თუ რატომ არ მოხერხდა ოქტომბრის რევოლუციის დღეებში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება. მახარაძე ობიექტური ფაქტების საფუძველზე უჩვენებს ლენინს, რომ მაშინ აქ არ არსებობდა რევოლუციური სიტუაცია. ამ მხრივ ფ. მახარაძის ეს წერილი კიდევ ერთი დოკუმენტია, რომელიც უარყოფს ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ იმ ზოგიერთ არასწორ შეხედულებას, თითქოს ოქტომბრის დღეებში საქართველოში არსებობდა რევოლუციური სიტუაცია, მაგრამ იგი ვერ გამოიყენეს საქართველოს ბოლშევიკებმა.

ფ. მახარაძე სავსებით ობიექტურად აღწერდა საქმის ნამდვილ ვითარებას და მოახსენებდა ვ. ი. ლენინს: „მართალია ჯერ კიდევ 1917 წელს, განსაკუთრებით მეორე ნახევარში, ამიერკავკასიის და კერძოდ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები საკმაოდ საგრძნობ ძალას წარმოადგენდნენ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ღრმად გადგმული ფესვები მუშათა და განსაკუთრებით გლეხთა მასებში." მაშასადამე, მუშათა და გლეხთა მასები ამ დროს არ იყვნენ მზად აჯანყებისათვის.

ფ. მახარაძის ამ წერილში საინტერესოდ არის ახსნილი აგრეთვე ის ფაქტი, თუ რატომ არ შეიძლებოდა მენშევიკური ხელისუფლების, ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური კომისარიატის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გამოყენებული ყოფილიყო თურქეთის ფრონტზე მყოფი რუსეთის ჯარები, რომლებიც, როგორც ზოგნი ფიქრობდნენ, მაშინ თითქოს სავსებით ბოლშევიზებული იყვნენ. ამ მხრივ საქმის ნამდვილ მდგომარეობას ფ. მახარაძე ასე უხსნიდა ვ. ი. ლენინს: „ფრონტისპირა ზოლში განლაგებული ეს ნაწილები ძალიან ოპოზიციურად იყვნენ განწყობილი ამიერკავკასიის ხელისუფლებისადმი. ეს ნაწილები ბრალს სდებდნენ ამიერკავკასიის ხელისუფალთ იმაში, რომ მათ, ჯერ-ერთი, შექმნეს ეროვნული ნაწილები, და მეორეც,— ისინი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, ხოლო, რაც მთავარია, საშუალებას არ აძლევდნენ წასულიყვნენ ამიერკავკასიიდან სამშობლოში. საკმარისი იყო ამიერკავკასიის კომისარიატს მიეცა მათთვის ვაგონები და ტანსაცმელი, რომ ჯარისკაცებს გაგრილებოდათ ოპოზიციური განწყობილება და ისინი მიდიოდნენ ჩრდილოეთისაკენ. თებერვლის ამბების შემდეგ წამსვლელი ეშელონების იმედი უკვე არ შეიძლებოდა ჰქონოდა პარტიას. ახლა სიმძიმის ცენტრი გადადის გლეხობაში, რომელმაც უკვე სტიქიურად დაიწყო აჯანყებების მოწყობა მენშევიკების უზურპატორული ხელისუფლების წინააღმდეგ".

ამასთან ერთად ფ. მახარაძე მოახსენებდა ვ. ი. ლენინს, თუ როდის და როგორ დაიწყო გარდატეხა და რევოლუციური სიტუაციის თანდათან შემზადება. „ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, — სწერდა ფ. მახარაძე, — დაახლოებით 1918 წ. დასაწყისში საქართველოში იწყება მკვეთრი გარდატეხა, — გარდატეხა, რომელიც მას შემდეგ სულ უფრო და უფრო ფართოვდება და ღრმავდება. ეს გარდატეხა იქით გამოიხატება, რომ მუშათა და გლეხთა მასები თანდათანობით შორდებიან მენშევიკურ პარტიას და სულ უფრო და უფრო უახლოვდებიან ბოლშევიკების პარტიას". შემდეგ წერილში მოთხრობილია, თუ რამ გამოიწვია გარდატეხა გლეხობაში, მითითებულია ის ფაქტი, რომ მენშევიკებმა გამოსცეს დეკრეტი მიწის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფდა მიწათმფლობელებისათვის მიწების დატოვებას სავსებით საკმარისი რაოდენობით. ამიტომ, როგორც ფ. მახარაძე აცნობებს ვ. ი. ლენინს, „გლეხობამ საკმაოდ უნარიანად და მოხდენილად მენშევიკების „რეფორმა" დაახასიათა შემდეგი სიტყვებით: თუ მიწის რეფორმა მართლაც საქმით უნდა გატარდეს, მაშინ მემამულეებს კი არ მოუხდებათ ჩამოჭრან თავიანთ მიწებს ნაკვეთები გლეხების სასარგებლოდ, არამედ, პირიქით, ამ უკანასკნელთ მოუხდებათ ჩამოჭრან თავიანთ ერთი ციცქნა ნაკვეთებს მემამულეთა სასარგებლოდ".

შემდეგ ფ. მახარაძე აცნობებს ვ. ი. ლენინს: „1918 წლის შუა თებერვალში ქუთაისში მოწვეული იყო საგუბერნიო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე, რომელსაც ესწრებოდნენ ქუთაისის გუბერნიის თითქმის ყველა სამაზრო, სასოფლო, აგრეთვე ბათუმის ოლქისა და სოხუმის ოკრუგის ორგანიზაციების წარმომადგენლები, აღიარებულ იქნა, რომ მენშევიკური პარტია გლეხთა და მუშათა უდიდესი ნაწილის თვალში საბოლოოდ დისკრედიტებულია, რომ მენშევიკების პარტია თანაგრძნობას პოულობს მხოლოდ სოფლის კულაკების, სასულიერო პირთა, ყოფილ პოლიციელთა და სხვა პარაზიტთა მხრივ, რომ მოსახლეობის მთელი დანარჩენი ნაწილი მენშევიკებს მტრულად ეკიდება და რომ, ბოლოს, ბოლშევიკების პარტია სულ უფრო პოპულარული ხდებოდა გლეხობაში".

თუ როგორი იყო დახასიათებული ვ. ი. ლენინისათვის ფ. მახარაძის მიერ გაგზავნილ წერილში შემდეგი წლების მდგომარეობა, ეს ჩვენთვის უცნობია, რადგან შემონახულია არა მთელი წერილი, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი.

ფ. მახარაძის მეორე წერილი ვ. ი. ლენინისადმი დაწერილია 1921 წლის 1 მარტს და გაგზავნილია კავკავიდან. მოდიოდა რა მოსკოვიდან ლენინთან შეხვედრის შემდეგ თბილისში, ფ. მახარაძემ გამოიარა კავკავში, მაგრამ იქ უკვე ბევრი რამ შეიტყო საქართველოს ამბების შესახებ და თბილისში ჩამოსვლამდე კავკავიდანვე გაუგზავნა წერილი ვ. ი. ლენინს: „სამწუხაროდ, თბილისამდე ამდენხანს ვერ მივაღწიე, — სწერდა ფ. მახარაძე, — ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო. გზის შემოკლებისათვის მინდოდა გადავსულიყავი საქართველოს სამხედრო გზით, მაგრამ თოვლის ზვავების და გზის გაფუჭების გამო მიზანს ვერ მივაღწიე, ამიტომ დღეს მივემგზავრებით რკინიგზით ბაქოზე გავლით. მხოლოდ 2-4 დღეში ვიქნებით თბილისში, და მაშინ შევძლებ გაცნობოთ საქმის ნამდვილი მდგომარეობა...

ჩემ მიერ აქ მიღებული მოხსენებებისა და სხვა ცნობების მიხედვით საქმის მდგომარეობა დღემდე საკმაოდ კეთილსასურველია, ამასთან იგი სულ უფრო და უფრო უმჯობესდება... ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რომ გავამართლოთ ჩვენი სიტყვა: მენშევიზმს საქართველოში ძირფესვიანად აღმოვფხვრით.

საჭიროა გავითვალისწინოთ ზოგიერთი გართულება თურქებთან, მაგრამ ჩვენი მხრიდან მივიღებთ ყველა ზომას, რათა საქმე სერიოზულ შეჯახებამდე არ მივიყვანოთ".

ფ. მახარაძე თბილისში ჩამოვიდა 1921 წლის 6 მარტს და სათავეში ჩაუდგა საქართველოს რევკომს. უკვე 23 მარტს მან შედარებით ვრცელი წერილი გაუგზავნა ვ. ი. ლენინს და აცნობა, თუ როგორ მიმდინარეობდა საქმეები ახლად შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში:

„ინტელიგენცია და საერთოდ ყოველგვარი სპეცები საკმაო თანაგრძნობით გვეკიდებიან და საბოტაჟს თითქმის არც ერთ სფეროში არა აქვს ადგილი";

„თანდათანობით წარმოებს მენშევიკების უკანდახევისას დანგრეული რკინიგზის ტრანსპორტის აღდგენა; ყველა მუშა და მთელი ტექნიკური პერსონალი, მცირედი გამონაკლისის გარდა, ბრუნდება თავის ადგილებზე";

„სასურსათო აპარატები ძნელად ეწყობა. მაგრამ მოსახლეობა და მუშები მაინც მარაგდებიან განსაკუთრებით პურით და სხვა პროდუქტებით";

„საბჭოთა მშენებლობის დარგში ჩვენ მიერ ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული. მე ვიცი, რომ თქვენ უფრო მეტად გესმით ჩვენი, ვიდრე სხვა ვინმეს.

ვსვამ აქ წერტილს და იმედი მაქვს, რომ ზაფხულში განახავთ თქვენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან ერთად ჩვენთან, თბილისში და გაჩვენებთ განსაცვიფრებელ ადგილებს".

ამ მოპატიჟების მიუღებლადაც ვ. ი. ლენინს მართლაც უნდოდა ჩამოსვლა საქართველოში სამკურნალოდ და დასასვენებლად. ამის შესახებ მრავალი დოკუმენტი არსებობს. მაგრამ ავადმყოფობის გართულებამ შეუშალა მას ხელი განეხორციელებინა თავისი გულისწადილი.

ფ. მახარაძის მეოთხე წერილი ლენინისადმი გაგზავნილია 1922 წლის 16 ნოემბერს.

ფ. მახარაძე უწინარეს ყოვლისა მიესალმება ლენინს და მიმართავს მას: „გიგზავნით უგულითადეს სალამს და უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ სავსებით გადაიტანეთ ავადმყოფობა".

შემდეგ ფ. მახარაძე მოახსენებს ვ. ი. ლენინს:

„უნდა გითხრათ, რომ უკანასკნელ 7-8 თვის განმავლობაში საქართველოს საშინაო პირობები გაუმჯობესდა და ჩვენ მიერ მიღწეულია საკმაოდ დიდი წარმატებები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგში. ვიმედოვნებ, რომ ოქტომბრის რევოლუციის ხუთი წლის თავისათვის ჩვენ შევძლებთ ყველა მონაცემები, რაც ამას შეეხება, ცალკე წიგნად ან ბროშურად გამოვცეთ".

წერილში შემდეგ გამოთქმულია საყვედური სამხარეო პარტიული ხელმძღვანელობის მიმართ და აღნიშნულია, რომ მან ვერ მოაგვარა ურთიერთობა ამიერკავკასიის და რესპუბლიკურ ორგანოებს შორის. ეს, ცხადია, ცნობილი საყვედურებია ნაციონალ-უკლონისტებისა, რომლებსაც მაშინ ფ. მახარაძეც ეკუთვნოდა.

არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვით ფ. მახარაძეს სხვა წერილებიც უნდა ჰქონდეს გაგზავნილი ვ. ი. ლენინისათვის, მაგრამ ისინი ჯერჯერობით გამოვლინებული არ არის.

ასევე გამოვლინებული არ არის აბელ ენუქიძის, შალვა ელიავას, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მელიტონ ფილიას, მიხეილ დავითაშვილის და სხვათა წერილები, მაგრამ ეჭვი არ არის, დაუცხრომელი ძიების შედეგად მოხერხდება მათი აღმოჩენა და ისინი ხელმისაწვდომი გახდება მკითხველთა ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი პ. რატიანი.

მეუღლე მიხეილ, შვილი ნანი, რძალი მარგო, დები მარიამ, ნინო, ძმა ალექსანდრე; ქ. დიდიძე ოჯახებით იუწყებიან
**დოროთე ილიას ასულ ყიფშიძე-დიდიძის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17, 18-IV, 8 ს. გამოსვენება 19-IV, 5 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 92.

შვილი რუსუდან, სიძე ა. გოგიტიძე; ნანული, თენგიზ, სერგო გოგიტიძეები იუწყებიან
**ნინო თეიმურაზის ასულ ელიავას**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 16-IV, 8 ს. გამოსვენება 17-IV, 4 ს. დოლიძის ქ. № 5.

43-ე საშუალო სკოლის ადმინისტრაცია და პედკოლექტივი იუწყებიან
**ნინო ნიკოლოზის ასულ კეკახიძე-თევზაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV სოფ. დიდჯიხაიშში, გამოსვენება ნიკოლაძის ქ. № 16.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეაბრეშუმეობის სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან
**ერმილე ალექსის-ძე თორთლაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV ქუთაისში, გამოსვენება ბინიდან, ლენინის პროსპ. № 26.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პურპროდუქტების მთავარი სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან
**ეკატერინე გერრიხის ასულ არჯევანიძის**
გარდაცვალებას.

თბილისის ყრუ-მუნჯ ბავშვთა სკოლა-ინტერნატთან არსებული სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს კოლექტივი იუწყება
**ლია ხაიმის ასულ წიწუაშვილის**
გარდაცვალებას.

აპოლონ, მარო, ამბროსი, პროკოფი, ზაქრო, ნიკოლოზ, ამირან დუმბაძეები ოჯახებით იუწყებიან
**ლევან ივანეს-ძე რუსიძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17-IV, 4 ს. ბორჯომში, გამოსვენება II სკოლის შენობიდან, კიროვის ქ. № 87.

შვილები გრიგოლ, ირაკლი, თამარ, ანო, რძალი ნინო კალატოზიშვილები ოჯახებით იუწყებიან
**დარო დავითის ასულ კალატოზიშვილის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 19-IV, 4 ს. სოფ. კალაურში (გურჯაანის რ.).

უე 02525 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14